F 221/1933
№1

# დროშა



სახალხო პოეტი — გალაქტიონ ტაბიძე.

# საბჭოთა კავშირში



## გვაქვს საბჭოთა როტაცია და ლინოტიპი



პირველი საბჭოთა ლინოტიპების საბო-ლოოდ შეკრება ამხ. მაქს ჰელცის სახ. ქარხანაში



ნატახტარმშენის კომკავშირელი — ყველაზე პირველად სვამს ნატახტარის ცივ წყალს.

მეფის რუსეთს სრულებით არ ჰქონდა პოლიგრაფიული მრეწველობა, უკანასკნელ წლებამდე ჩვენი პოლიგრაფია თითქმის მთლიანად დამოკიდებული იყო იმპორტზე, მაგრამ პარტიისა და ხელისუფლების მიერ მიღებული ზომების წყალობით ამჟამად ამ საქმეშიც მნიშვნელოვანი გარდატეხა გვაქვს მიღწეული.

დღეს საბჭოთა კავშირი ამზადებს არა მარტო მარტივს პოლიგრაფიულ მანქანებს (ე. წ. „ბრტყელი" მანქანები და სხვ.) და მოწყობილობას, არამედ ისეთ რთულ პოლიგრაფიული მანქანებს, როგორიც არის როტაცია და ლინოტიპი.

წარსულ წელს, ოქტომბრის 15 წლის თავზე, ამხ. ივგოლდას სახელობის პოლიგრაფიული მანქანათმშენებლობის ქარხანამ რიბინსკში გამოუშვა პირველი საბჭოთა როტაცია.

პირველი საბჭოთა როტაცია საათში ბეჭდავს 36.0000 ცალ სტანდარტული ფორმის 2,5 და 8 გვერდიან გაზეთს.

ამასთან ერთად, ჩვენი როტაცია არ წარმოადგენს გერმანული საროტაციო მანქანების უბრალო ასლს, მასში შეტანილია მთელი რიგი ტექნიკური ცვლილებები და გაუმჯობესებანი, რომლებიც მანქანის საერთო გამარტივებასთან, პროდუქციულობის გადიდებასთან ერთად, თვალსაჩინოდ ადვილებენ და ამსუბუქებენ მანქანაზე მომუშავეთა შრომას—გარემოება, რომელსაც მანქანათა კონსტრუქციების შემუშავების დროს კაპიტალისტურ ქვეყნებში არასდროს არ ექცეოდა ყურადღება.

მიმდინარე წლის მაისში საბჭოთა პოლიგრაფიულმა მანქანათმშენებლობამ ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ამხ. მაქს ჰელცის სახელობის ქარხანამ ლენინგრადში გამოუშვა პირველი საბჭოთა ლინოტიპები. დაუფლება ლინოტიპების წარმოების, რომლებიც ეკუთვნიან ურთულესი მანქანების რიცხვს (შესდგება 7.000 ნაწილისაგან), საბჭოთა კავშირის მუშების ახალი დიდ მიღწევას, მოწინავე ტექნიკის დაუფლებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

მაქს ჰელცის ქარხანამ უკვე გამოუშვა პირველი რიგი ლინოტიპი, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებიან გერმანულ ლინოტიპებს.

მეორე ხუთწლედის დამლევისათვის ქარხანამ უნდა მოგვცეს 1200 ლინოტიპი და 50 საროტაციო მანქანა.

კულტურულ რევოლუციას ექმნება მტკიცე ტექნიკური ბაზა.



წყალსაქაჩი სადგურის შიგნითა მოწყობილობა.



პირველი საბჭოთა როტაცია



ნატახტარის წყალსადენის მილის გაყვანა. ეს მილი უერთდება ტფილისის წყლის მილის ქსელს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველდღე 12-3 საათამდე. მისამართი: წულუკიძის ქ. 3.

№ 13 ტფილისი, 15 ივლისი გაზ. „კომუნისტი“-ს გამ-ბა 1933

# საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ათი წლის თავი



„ჩვენ ვართ ნაციონალური მტრობის, ნაციონალური შუღლის, ნაციონალური განცალკევების მოწინააღმდეგენი, ჩვენ ვართ საერთაშორისო გაერთიანების მომხრენი, ინტერნაციონალისტები. ჩვენ მივისწრაფვით მსოფლიოს ყველა ეროვნებათა მუშებისა და გლეხების მჭიდრო გაერთიანებისა და სრული შეერთებისაკენ ერთ მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკაში“.

ლენინი.

10 წლის წინ, 1923 წლის 6 ივლისს, დამტკიცებული იქნა საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია—საბჭოთა კავშირის ხალხთა თანასწორობის და სუვერენობის დიდი ქარტია.

ჩვენი ქვეყნის გამარჯვებულმა პროლეტარიატმა ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით ძველი რუსეთი —„ხალხთა ციხე“ ლენინის გამოთქმით—გადააქცია „ხალხთა თანამშრომლობის იმ შესანიშნავ ორგანიზაციად, რომელსაც ეწოდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“ (ი. სტალინი).

„ხალხთა თანამშრომლობის ამ შესანიშნავი ორგანიზაციის შექმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ოქტომბრის გამარჯვების შედეგად, მხოლოდ იმის შედეგად, რომ გაიმარჯვა პროლეტარიატმა, რომელმაც დაამხო კაპიტალისტები და მემამულეები, ბოლო მოუღო მათ პოლიტიკურ და ეკონომიურ ბატონობას, დამყარებულს მშრომელი მასების დამორჩილებასა და ყვლეფაზე და არა რუს ეროვნებათა მშრ. მასების ნაციონალურ ჩაგვრასა და ექსპლოატაციაზე. „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ რუსეთში და ერების უფლების ადიარებამ სახელმწიფო გამოყოფაზე ძირფესვიანად შესცვალა დამოკიდებულება რუსეთის ეროვნებათა მშრომელ მასებს შორის, ძირი გამოუთხარა ძველს ნაციონალურ მტრობას, ნიადაგი გამოაცალა ნაციონალურ ჩაგვრას და რუსეთის მუშებს მოუპოვა ნდობა მათი ეროვნული ძმებისა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და აზიაშიც, მიიყვანა ეს ძმობა ენტუზიაზმამდე, საერთო საქმისათვის ბრძოლისათვის მზადყოფნამდე“ (რ.კ.პ. (ბ) X ყრილობის რეზოლიუციიდან).

ამიტომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია წარმოადგენს შედეგს და დაგვირგვინებას იმ ახალი ურთიერთობისა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შედეგად შეიქმნა რუსეთში.

„რევოლიუციაში მტკიცეა მხოლოდ ის, რაც მოპოებულია პროლეტარიატის მიერ. ღირს მხოლოდ იმის ჩაწერა, რაც მტკიცედ არის მოპოებული“—სწერდა ლენინი. ძველ რუსეთზე გამარჯვების შედეგად მტკიცედ იქნა მოპოებული რუსეთის ყოფ. იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ეროვნული თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა და ეს, როგორც ოქტომბრის მტკიცე მონაპოვარი, ჩაიწერა იმ შესანიშნავ დოკუმენტებში, რომელთაც ეწოდება „მშრომელი და გაყვლეფილი ხალხის დეკლარაცია“. და რ.ს.ფ.ს.რ. კონსტიტუცია—საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის წინამორბედი.

მოსპობა ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციისა ადამიანის მიერ, სრული მოსპობა საზოგადოების დაყოფისა კლასებად, ექსპლოატატორების ულმობელად დათრგუნა, საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაციის დამყარება და სოციალიზმის გამარჯვება მთელს მსოფლიოში“—აი ეს ძირითადი პრინციპები და ამოცანები, რომელნიც ჩამოაყალიბა ლენინმა „მშრომელი და გაყვლეფილი ხალხის დეკლარაციაში“ და რომლებიც საფუძვლად დაედო რ.ს.ფ.ს.რ. და შემდეგ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას.

მხოლოდ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების შედეგად მოხერხდა კაცობრიობის ისტორიაში იმ უმაგალითო ხალხთა თანაცხოვრების დამკვიდრება, რომელიც არსებობს საბჭოთა კავშირში.

ლენინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ მიმდინარეობს ყოფ. მეფის რუსეთის „განაპირა კუთხეებში“, არა მარტო განამტკიცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, იგი არა მარტო გვანთავისუფლებს ჩვენ უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან ტეხნიკურად, მან არა მარტო შექმნა მტკიცე ბაზა მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, არამედ აგრეთვე სიცოცხლისაკენ მოუწოდა საბჭოთა კავშირის ათეულ ხალხებს, რომლებიც მეფის დროს განადგურებისა და ფიზიკური გადაგვარების გზაზე იდგნენ, შეუქმნა მათ ნიადაგიერი ბაზა ეკონომიური და კულტურული აღორძინებისა და წინსვლისათვის.



„იქ, კაპიტალიზმის ქვეყნებში,—ნაციონალური მტრობა და უთანასწორობა, კოლონიალური მონობა და შოვინიზმი, ნაციონალური ჩაგვრა და პოგრომები, იმპერიალისტური მხეცობა და ომები.

აქ, სოციალიზმის ბანაკში,—ერთიერთნდობა და მშვიდობიანობა, ნაციონალური თავისუფლება და თანასწორობა, ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრება და ძმური თანამშრომლობა“.

სტალინი.

უდიდესი წარმატებები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მშრომელმა მასებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე ეკონომიურსა და კულტურულ ფრონტზე, წარმოადგენენ ამავე დროს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებას—საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნების მშრომელი მასების ძმური თანამშრომლობის შედეგს.

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის შემდგომი სწორად გატარება მოითხოვს ულმობელ ბრძოლას დიდმპყრობელურ შოვინიზმთან, რომელიც ცდილობს მოახდინოს პარტიის ნაციონალური პოლიტიკის საფუძვლების რევიზია და ადგილობრივ ნაციონალიზმთან, რომელიც ცდილობს შეასუსტოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მთლიანობა, რითაც ხელს უწყობს ინტერვენტების გეგმებს. ბრძოლა დიდმპყრობელურ შოვინიზმთან და ადგილობრივ ნაციონალიზმთან და მათთან შემარიგებლობასთან, ბრძოლა ლენინური ნაციონალუ-

რი პოლიტიკის ყოველგვარ დამახინჯებასთან ერთი წუთითაც არ უნდა იქნას შესუსტებული.

ახალი ომისა და ინტერვენციის მზადება კრიზისის გამოუვალ ჩიხში მოქცეულ კა-

კოლონიების მშრომელთა ყურადღების და მიზიდულობის ცენტრს.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 18 წლის თავი—ეს არის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის უდიდესი ტრიუმფი.



**საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარეები**

ნ. აიტაკოვი, ფაიზულა ხოჯაევი, ა. გ. ჩერვიაკოვი, მ. ი. კალინინი, გ. ი. პეტროვსკი, გ. მუსაბეკოვი, ნასრატულა მაქსუმ.

პიტალისტურ მსოფლიოს მიერ, ფაშიზმის გონებადაკარგულ წარმომადგენლების ბოდვა საბჭოთა კავშირის ცალკე ნაწილების ჩამოგლეჯაზე გვიკარნახებს კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის მშრომელთა ძმური ოჯახი, კიდევ უფრო გავაძლიეროთ სოციალისტური მშენებლობის ტემპები, კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა, კიდევ უფრო მჭიდროდ შემოვიკრიბოთ ლენინის პარტიის გარშემო, რომლის პოლიტიკამაც უზრუნველჰყო საბჭოთა კავშირის „ხალხთა თანამშრომლობის შესანიშნავი ორგანიზაციის“ შექმნა.

ამხ. სტალინი სრულიად რუსეთის საბჭოთა X ყრილობაზე ამბობდა:

„იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საკავშირო რესპუბლიკის შექმნით ჩვენ ვქმნით საიმედო დასაყრდენს საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომ ახალი საკავშირო სახელმწიფო იქნება ახალი გადამჭრელი ნაბიჯი მთელი მსოფლიოს მშრომელთა გაერთიანებისაკენ ერთიან მსოფლიო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად“.

და მართლაც, საბჭოთა კავშირი, რომელმაც მთელს მსოფლიოს უჩვენა ნაციონალური საკითხის რევოლიუციონური გადაჭრის მაგალითი, რომელმაც წარმატებით ოთხ წელიწადში დაამთავრა პირველი ხუთწლედი და აშენებს უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას, წარმოადგენს მთელი მსოფლიოს რევოლიუციონური მუშათა კლასის, კოლონიების და ნახევრად

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის შემდგომ გატარებით, მეორე ხუთწლედის გეგმებისა და ამოცანების შესრულებისათვის ბოლშევიკური ბრძოლით, საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის შემდგომი განმტკიცებით საბჭოთა კავშირის მშრომელები კიდევ უფრო გააძლიერებენ იმ სიმპატიებს, თანაგრძნობას და სიყვარულს, რომელითაც მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყანა სარგებლობს ყველა ქვეყნის ჩაგრულთა და გაყვლეფილთა შორის.

გაუმარჯოს ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკას!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორს ამხ. სტალინს!

# ერთი დღე ნატახტართან

ივლისის თაკარა სიცხეში გარინდულა და თვლემს ბებერი მცხეთა.

მას ბევრი რამ ახსოვს, ბევრი დაავიწყდა და, გამძლეობის ჟინით შეპყრობილს, სურს ჩვენი დღეების სასწაულებიც ნახოს.

ჰქონია განთიადები და უფრო მეტი ქამთა სიავე.

ეს მთები, ეს ბილიკები, ლინჯი მტკვარი და გიჟი არაგვი ბევრჯერ გადაულახავს ველურ ურდოებს. მათ ლაჩვარი ახლაც აჩნია ჩაქსმოდებულ კედლებს.

მუხრანის ველიდან ხშირად სმენია კავკიან თოფების ქუხილი და თავგანწირული ყიჟინა. 18 საუკუნის წინ არმაზის კერპი სუსტი მფარველი აღმოჩნდა, როცა რომის ლეგიონები კალიებივით მოზღვავდნენ სამხრეთიდან.

ბოლოს მოტყდა, დაიქანცა და სისხლისაგან დაცლილმა პირველობა სხვა ქალაქს დაუთმო; მცხეთა ტფილისმა დაჩრდილა, მუხრანი—კრწანისის ველმა.

სიზმარივით გაფრენილ საუკუნეებს დარჩა დანგრეული ციხე-კოშკები და სახელი პატარა სოფლის—ნატახტარი.

ათასი წლის მანძილზე აღარავის უნდოდა **ნატახტარი,** წარსულში შუბლს რომ უგრილებდა მეფეებს.



**ამხ. შ. ქილურაძე**

ნატახტარის წყალსადენის მშენებლობის უფროსი

უსარგებლოდ ჩქეფდა მისი ცივი წყაროები, და ტფილისი წყურვილით იხრჩვებოდა. საქართველოს, გვირგვინოსან და უგვირგვინო მეფეებს საამისოდ როდი ეცალათ. ზაფხულის სიცხეებში არ აკლდათ ბორჯომი, ნარზანი და ლაღიძე, მტკვარის ტალახიანი წყალი კი ღარიბებს დაუთმეს.

ნელად მიდიოდა „მოდუდუნე მტკვარი“ და მოჰქონდა მუცლის ტიფი, კუჭის ტკივილი და ციებ-ცხელება...

„მტკვარო ამღვრეულო, ვარაზხიანო“ ვინ მოსთვლის რამდენი იმსხვერპლე შენ. შენი მღვრიე წყლით, რამდენს ისხვერპლებდი კიდევ, რომ პროლეტარულ დიქტატურის დრომა არ გაეშალა შენს ნაპირებზე.

დღეს ეს დრომა ანკარა წყლის არტერიით აკავშირებს ტფილისსა და ნატახტარს. ტფილისი მოიკლავს საუკუნეების წყურვილს და ნატახტარის მივიწყებული სახელი ისევ გადაეცემა ახალ საუკუნეებს.

კმარა. დავსვათ წერტილები წარსულზე ფიქრს, ამ უნაყოფო ოცნებამ ბევრი დაასნეულა განუკურნელი სენით.



ნატახტარის წყალსადენის პირველი აუზი.

გავყევით ამ დროშას გამარჯვებულის ზეიმით რომ მოგვიძღვება წინ ახალი მიღწევის სანახავად.

დღის 30 ივლისია. მგზავრებით დატვირთული მატარებელი ქშენით მიადგა მცხეთის სადგურს და დაიცალა. გავყევით გზატკეცილს ნატახტარისაკენ. ბეტონით დაგებულმა გზამ რუსთაველის პროსპექტი მოგვაგონა. ასეთი მოძრაობა იქაც იშვიათია. ერთი ერთს მისდევს. ბუზღუნით მოქრიან ავტო-მანქანები, გადაობიან სერს და იკარგებიან რომ რამოდენიმე წუთის შემდეგ ისევ დაბრუნდენ ახალი მგზავრებისათვის. ველოსიპედისტები ერთმანეთს ეჯიბრებიან სისწრაფეში, ჩვენ კი ფეხდაფეხ მივუყვებით ამ უცნობ გზას.

ჩვენს წინ გადაიშალა მუხრანის ველი. მწვანე კალთები დაუშვია წიწამურის მთებს. მარცხნივ ქსნის ხევი და მარჯვნივ არაგვი არაგვიანი. გადავცდით აღმართს და გამოჩნდა ნატახტარის ქაბურღილები.

— სირცხვილი კია—ამბობს ერთი [illegible] გაკვირდა და ჩვენ ახლა მივდივართ სტუმარივით.

მეორე გულნატკენად გამოტყდა, რომ მას მიუტევებელი დანაშაული მიუძღვის:

— „ზაჰესი, რიონჰესი, კასპის ცემენტის ქარხანა და ზესტაფონის ფერო მხოლოდ მატარებლის ფანჯრებიდან აქვს ნანახავი, დანარჩენის არსებობა კი გაზეთებიდან იცის.



ნატახტარშენის გმირი — ამხ. მ. ფალავანდიშვილი, მისი ხელმძღვანელობით მებეტონეთა ბრიგადა 140 პროც. ასრულებდა გეგმას.

ნახევარი საათის შემდეგ ჩვენც მივაღწიეთ. მწვანე რტოებით და წითელი დროშებით მორთულ ტრიბუნის ახლოს, ბეტონის ლამაზ შენობასთან ვნახეთ ისინი, ვინც თავისი ცოდნა, დაუშრეტელი ენერგია და სიცოცხლე არ დაზოგა ამ [illegible] საქმის გამარჯვებისათვის.

და კიდეც გაიმარჯვეს.

სამი წლის ბრძოლა გადახდილებმა მხოლოდ ერთი დღით დაისვენეს, რომ შორიდან მოსულთ ახარონ გამარჯვება და აუხსნან ნატახტარის საიდუმლო.

„ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის გმირებს“. ჩვენთან დგას სამუშაოთა უფროსი კილურაძე, ეს დაუღალავი კაცი, რომელსაც ალბად ძილშიაც ესიზმრება მავთულების ძახილი, ნატახტარშენის მთავარი ინჟინერი [illegible] — ნატახტარის მესაჭე და სულის ჩამდგმელი, ახ. ინჟინერი ცკიტიშვილი, რომელსაც უნებური მოსვენება ყოველთვის ავად ხდიდა, გიორგი ხიზანიშვილი ნატახტარის სათავის იშვიათი მკვლევარი და სხვანი და სხვანი.

აი ნატახტარის დამკვრელი მუშები: მეზურნეთოვი, ფალავანდიშვი-



სამიჯნო კამერა შიგნიდან.



ხიდი—აკვედუკი—არაგვზე, აგებულია წყალდენის მილის გასატარებლად. ხიდეზე დღე და ღამის განმავლობაში გატარდება 8 მილიონი ვედრა წყალი.

ლი, ზაიდე პეტროსიანი და მათი თანამებრძოლნი.

მეგობრებო, ჩვენ „ღარიბი ადამიანები" ვართ, ხელცარიელი მოვედით თქვენთან, მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სიყვარული და აღფრთოვანება!

ინჟინერი დიასამიძე იშვიათი თავაზიანი ყოფილა. დაგვყვება და გვიხსნის ყოველი შენობის, ყოველი საგნის მნიშვნელობას:

„სათავის ნაგებობას 18 ჭაბურღილი აქვს. ნაგებობის მეორე ნაწილი სამიჯნო კამერაა. ჭებიდან წყაროს წყალს ისრუტავს სიფონის მილი და გზავნის სამიჯნო კამერისაკენ. სამიჯნო კამერის დანიშნულებაა სიფონის ავტომატიური მუშაობის მოწესრიგება, წყლის გაზომვა და რეგულირება. სამიჯნო კამერიდან იწყება ბეტონის წყალდენი, რომლის სიგრძე 17 კილომეტრს უდრის, დანარჩენ 9 კილომეტრზე წყალი თუჯის და რკინის მილებში მიმდინარეობს. ტფილისი ზაფხულშიაც ცივ წყალს მიიღებს, რადგან სავენტილაციო კოშკების საშუალებით წყალი მილში ნიავდება და ცივდება".

ჩვენ ყურადღებით ვუსმენთ დიასამიძეს,

ზეიმის დროც მოახლოვდა. ტრიბინას გარშემო ვდგავართ და ველით... ხილის ბაღებით გაშლილ მცხეთის გზაზე მალე გამოჩნდა ავტომანქანების ქარავანი.

სამიჯნო კამერის დათვალიერების შემდეგ ამხ. ფილიპე მახარაძე კამერის კარებს აჭრის წითელ ლენტს და ნატახტარის წყალსადენს გახსნილად აცხადებს.

კამერის ახმაურება გვამცნობ, რომ წყაროს ზითელი მასა ტფილისისაკენ დაქანდა. გაისმა ტაშისცემა. ჩვენს ახლოს აფეთქდა წყაროს შადრევანი და შოლტივით დაირხა ჰაერში.

საღამო იყო, როცა უკანასკნელმა მანქანამ ჩვენს ჯგუფსაც მოაკითხა.

დავტოვეთ ნატახტარი.

**ი—ანი.**

# გ. ტაბიძის იუბილე

**(ბიოგრაფიული ცნობები)**

გალაქტიონ ტაბიძე დაიბადა 1892 წელს ქუთაისის მაზრაში. პოეტის მამა იყო მეტად კულტურული და იმ დროის შესაფერისად საკმაოდ განვითარებული სოფლის მასწავლებელი.

პირველდაწყებითი სწავლა მიიღო სოფლის სკოლაში, შემდეგ სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში.

ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფე იყო, რომ ლექსებს სწერდა.

იმ ხანებში სემინარიაში არსებობდა მოწაფეთა თვითგანვითარების და სალიტერატურო წრეები, გამოდიოდა მოწაფეთა ბეჭდვითი ჟურნალი „ჩანგი" გალაქტიონი როგორც წრეებში, ისე ჟურნალში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

პირველი მისი ლექსები დაიბეჭდა 1908 წელს ჟურნალ „ჩვენს კვალში", რომელიც გამოდიოდა განსვენებულ დარჩიაშვილის რედაქტორობით.

შემდეგ მისი ლექსები იბეჭდებოდა გაზეთ „ამირანში", ჟურნალ „ფასკუნჯში", სხვადასხვა სახელწოდების სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში და სამხატვრო-სალიტერატურო გამოცემებში.

სასულიერო სემინარიის გათავების შემდეგ გალაქტიონი ერთხანს ეწეოდა სოფლის მასწავლებლობას შორაპნის მაზრაში.

პოეტმა მალე მიანება თავი სოფლის მასწავლებლობას და დაიწყო მუშაობა სოციალ-დემოკრატიულ



პოეტი გ. ტაბიძე

გაზეთების რედაქციებში, როგორც ქუთაისში, ისე ტფილისში.

პირველი მისი ლექსთა კრებული დაიბეჭდა ქუთაისში, 1914 წელს.

ლექსებმა მაშინვე მიიქცია მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება.

ამის შემდეგ პოეტი მოგზაურობს მთელს საქართველოში, მართავს ლიტერატურულ საღამოებს. ამავე პერიოდში ის მიემგზავრება რუსეთში, საიდანაც ბრუნდება 1917 წ. ზამთარში.

გ. ტაბიძის საქართველოში დაბრუნების, ერთი თვის შემდეგ ხდება თებერვლის რევოლუცია, რომელსაც პოეტი აღფრთოვანებული ლექსებით ესალმება. რამდენიმე ხნის შემდეგ გ. ტაბიძე ისევ მიემგზავრება რუსეთში.

რუსეთში ყოფნისას მას უსწრებს ოქტომბრის რევოლუცია და ის მოწმეა.

პოეტის მსოფლმხედველობაში აქედან იწყება კარდინალური გარდატეხა, ის გაიტაცა ამ რევოლუციამ. და ლექსში რამდენიმე დღე პეტროგრადში ის სწერს:

„ვიღაცა დაქრის და ცეცხლს აჩაღებს.
მეც ყაჩაღივით ვარ გამზედავი".

ეს ლექსი მან დასწერა და გამოაქვეყნა მენშევიკების ბატონობის ხანაში.

გ. ტაბიძის ლექსთა მეორე კრებული გამოვიდა 1919 წელს თბილისში, ამ კრებულში მოთავსებულია ლექსები, დაწერილი 1914 წ.—14 წლებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გალაქტიონი იყო ერთი პირველთაგანი, იმათ შორის, ვინც უყოყმანოდ მივიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან. ის თავიდანვე მახლობელი თანამშრომელი გახდა ყველა საბჭოთა ჟურნალებისა. ერთხანს რედაქტორობდა მწერალთა კავშირის ჟურნალს, შემდეგ სცემდა საკუთარ ჟურნალს „გალაქტიონ ტაბიძის" სახელწოდებით.

1927 წელს გამოვიდა მისი „ლექსების წიგნი", 542 გვერდიანი, 1930 წელს დაიბეჭდა „ეპოქა", 1931 წელს — „რევოლუციონური საქართველო". ცალკე წიგნებად გამოვიდა აგრეთვე ჯონ რიდი და სხვა.

1933 წ. მაისში შესრულდა გ. ტაბიძის პოეტური მოღვაწეობის 25 წ. გ. ტაბიძის მიერ ნაყოფიერი მუშაობით გავლილი გზა ღირსეულად შეაფასა საბჭოთა ხელისუფლებამ. მიმდინარე წელს გადაიხადა მას იუბილე და მიანიჭა მას სახალხო მწერლის სახელწოდება.

# რევოლუციის დიდი შემოქმედი

ბენ. ბუაჩიძე

ქართული პოეზია მდიდარია და მრავალფეროვანი. საქართველოში ლექსი დიდი სიყვარულით სარგებლობს. ნამდვილი პოეზია მასიურია, ხალხის კუთვნილებაა, ქართული ლექსის კულტურა მაღალი იყო [illegible].

ცნობილია, ყოველ დროში ქართველ პოეტთა სიმრავლე. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ამ მრავალრიცხოვან პოეტებიდან საუკუნეებს შერჩენ მხოლოდ ერთეულები. ლიტერატურის ისტორიაში მტკიცედ დამკვიდრდნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც შესძლეს ფართო სისრულით გამოეხატათ თავის ეპოქის მოწინავე იდეები, თავის კლასის ბრძოლა, ყოფა, ოცნება, სწრაფვა და პრაქტიკა. ვინც **უღრმესად და უნიჭიერესად** გამოხატავდა საკუთარ კლასს, ვისაც ამ კლასის კულტურა ხელმიწვდენით ჰქონდა შეთვისებული, ვინც სინამდვილის, ცხოვრების ურთიერთობის, შინაარსიანი ენით, გრძნობით და იდეებით მეტყველებდა, ის გამოირჩა მრავალთა რიცხვიდან.

ამა თუ იმ კლასის შემოქმედებითი პრაქტიკა, მსოფლმხედველობა და გარემოება ყოველთვის განსაზღვრავდა კულტურის არსს და მიმართულებას პოეზიისაც. [illegible] მეტამორფოზებია, რომ ამა თუ იმ კლასს თავის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე აქვს [illegible] ძალთა წინასწარ დაჯგუფების, აყვავების და დაცემის სიკვდილის [illegible].

თავად-აზნაურულმა პოეზიამ — რაც უდავოა — მისცა გენიალური შემოქმედი პოეტები. მაგრამ თავად-აზნაურობის და შემდეგ მისგან გამოსული ბურჟუაზიული პოეზიამ, თავის დაცემის ხანაში, [illegible] პატრიოტულ, შოვინისტურად [illegible] და სევდიანი [illegible] პოეტი [illegible]. მაგრამ [illegible] ნამდვილი შემოქმედების პროდუქცია, [illegible] შემოქმედებითი [illegible] გაწყვეტილება. ხავსი, [illegible] გაქრება, პატარა იდეები. [illegible] მათ.

ეს იმიტომ, რომ კლასს [illegible] ისტორიულად, [illegible] ჰქონდა დიდ შემოქმედების უნარი.

ერთ ასეთ [illegible], დიდი პოეტია, გალაქტიონ — მისი მრავალრიცხოვანი ეპიგონები, მე-20 საუკუნის დასაწყისში უკვე დაკარგულნი, პატარანი, უფერულნი და უშინაარსონი არიან.

მე-20-ე საუკუნე ახალი ეპოქის დაწყებაა. ფეოდალური თვითმპყრობელობა, დაჯგუფებული ბურჟუაზია — თავის უკანასკნელ სიცოცხლის წლებს ითვლიდა, ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა მუშათა კლასის რევოლუციონურ მოძრაობასთან. [illegible] სასოწარკვეთით და შეურიგებლად ებრძოდნენ [illegible].

1905 წლის რევოლუციამ გაიტაცა ინტელიგენციის ნაწილი, რევოლუცია დამარცხდა და ეს ინტელიგენცია მუშათა კლასის მოძრაობას, მის თავგანწირულ და შეურიგებელ ბრძოლას ჩამოსცილდა. მალე რეაქციის [illegible] ბურჟუაზიამ მოიცვა მწერლობის უდიდესი ნაწილი.

ქართულ მწერლობაში ამ ხანებში განსაკუთრებით გაიფურჩქნა ეპიგონური, პატრიოტული ლირიკა, იაფ-ფასიანი ეროტიკა, დაცემულობა და შემზადებული ნიადაგი ბურჟუაზიულ-რეაქციონური, ბოჰემურობის, სიმახინჯის თაყვანისმცემელთა ჯგუფის, სიმბოლისტების („ცისფერი ყანწელები") გამოსასვლელად.

საზოგადოებრივ - ლიტერატურულ რეაქციის ყველაზე მეტად ბნელ წლებში, (1908 წ.) ლიტერატურის ასპარეზზე გამოვიდა პოეტი—**გალაკტიონ ტაბიძე.** იმდროინდელ პოეზიის ფრონტზე მოვიდა ახალი პოეტი, მაგრამ ეს არ ნიშნავდა მას, რომ „ლირიკულ" ქნარით ხმახალებილ პოეტთა ჯარს მოემატა კიდევ ერთი რიგითი წევრი. გალ. ტაბიძე ამ უფერული ჯარის არც სარდალი ყოფილა.

გალ. ტაბიძის პირველივე ლექსები აშკარავებენ, რომ მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაში იწყება ახალი, **მაღალი** საფეხური; გარღვეულ იქნა კლასიკური პოეზიის მხატვრულ და იდეურ ეპიგონთა მოჯადოებული წრე და დიდი შემოქმედის, პირდაპირ სტიქიური შეტევით, ახალი ქართული ლექსი გაუტოლდა კლასიკურ პოეზიას და უკვე საკუთარი გზებით წავიდა წინ.

გალ. ტაბიძე უდიდესი ლირიკოსია, მისი გრძნობა, განცდა, სწრაფვა ულრმეს და უმშვენიერეს მხატვრულ ფორმაშია ჩამოსხმული, გამოკვეთილი. გალ. ტაბიძის პირველი პერიოდის შედევრები, ადიან ქართული პოეზიის კლასიკურ მწვერვალებზე. გალ. ტაბიძის პირველი ორი წიგნი, მე-20 საუკუნის რევოლუციამდე არსებულ მწერლობის, თვალსაჩინო განძია, ამ წიგნებით გალ. ტაბიძემ ამ დროინდელი ქართული პოეზია აიყვანა ახალ, მაღალ საფეხურზე, ამ წიგნებით პოეტმა გაამდიდრა, გაამრავალფეროვანა და ძლიერი ორიგინალობა შემატა ახალ, ქართულ პოეზიას, ამ პერიოდში შემოქმედებითი მუშაობით გალ. ტაბიძემ დაამტკიცა თავის მაღალ კულტურულობა.

გალ. ტაბიძის პირველი პერიოდის პოეზია უეჭველად შედის პროლეტარიატის მიერ მიღებულ მემკვიდრეობის ფონდში. ეს ცხადია არ ნიშნავს, რომ პროლეტარიატი და ახალი, პროლეტარული პოეზია გალ. ტაბიძის პირველ წიგნებს, მისი შემოქმედების პირველ პერიოდს, უკრიტიკოთ ღებულობდეს; არავითარ შემთხვევაში, არც პროლეტარული პოეზია და არც თვითონ გალ. ტაბიძე—პირველი პერიოდის შემოქმედების იდეურ მხარეს და მთლიანად, არც მხატვრულ გამოსახვით საშუალებებს უკრიტიკოთ არ მიიღებენ. მაგრამ დღევანდელი, რევოლუციის გულწრფელი და დიდი შემოქმედი, მისი ენტუზიასტი, მომღერალი და მებრძოლი, ასეთად ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა. მას თავის წარმოშობა აქვს, მას დიდი გზა აქვს განვლილი. ამ გზის წარსულის ხელჩაქნეული უარყოფა კი არ უნდა, არამედ შესწავლა, გამოყენება და შეფასება; მით უმეტეს, რომ **გალ. ტაბიძის პოეზიის პირველ პერიოდშივე არის ჩანასახში მოცემული ის შესაძლებლობანი, რომელნიც პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, დიდი რევოლუციონურ-შემოქმედებით რეალობად გადაიქცენ.** გარდა ამისა, იმ დონემ და მხატვრულმა ხარისხმა, რომელზედაც პირველ პერიოდშივე აიყვანა პოეზია გალ. ტაბიძემ, მისი ლექსის ფორმალურმა თავისებურებებმა, დიდი გავლენა იქონიეს შემდგომ ქართული პოეზიის დიდ ნაწილზე, **უახლოეს** პოეზიაზეც და თვითონ პოეტის განვითარებაც ორგანიულად გამომდინარეობდა პირველ პერიოდის მხატვრულ მიღწევებიდან.

ამ უკანასკნელ ხანებში, გალ. ტაბიძის პოეზიის შეფასების საქმეში, ფეხს იკიდებს ერთი შტამპი, ტრაფარეტი. ზოგადათ აცხადებენ, რომ გალ. ტაბიძე რევოლუციამდე იყო სიმბოლისტი, მისტიკოსი, პესიმისტი, და შემდეგ რევოლუციამ ის ერთბაშად გახადა თავის პოეტად. ეს საკითხის გაიოლება და გაუბრალოებაა, ღრმა ანალიზის ხარჯზე. სიმბოლისტ-მისტიკოსები ასე ერთბაშად არ იცვლებიან. რუსული სიმბოლიზმის უდიდესი წარმომადგენელი **ალექსანდრე ბლოკი** დიდი მონდომებით შეეცადა პროლეტარულ რევოლუციასთან მისვლას („თორმეტი", „სკვითები"), მაგრამ ვერ გაიგო ის, მოექცა შემოქმედებით ჩიხში, დაყრუვდა და დამუნჯდა. მეორე სიმბოლისტი—**ვალერი ბრიუსოვი** უშუალოდ ჩაება რევოლუციის პრაქტიკაში, პარტიის წევრი გახდა, მაგრამ მისი ლექსების წიგნი რევოლუციაზე მაინც სიმბოლიზმის გადასახლეულობითაა დაღდასმული. გალ. ტაბიძის პოეზიის განვითარება კი გარკვეულად და არსებითად განსხვავდება ამ პოეტების შემოქმედებითი ბედიდან. მაშასადამე, გალ. ტაბიძეს ქონია დიდი თავისებურება, რომელსაც სჭირდება შემჩნევა და გარკვევა. სიმბოლიზმთან გალ. ტაბიძეს დიდი ნათესაობა ჰქონდა, მაგრამ ამ ამ „იზმ"-ში მისი მომწყვდევა ყოვლად შეუძლებელია.

რა სოციალური წრის წარმომადგენელი იყო გალ. ტაბიძე, რა იდეები მოიტანა მან ქართულ პოეზიაში? როგორ მივიდა ის პროლეტარულ რევოლუციასთან?

სასტიკი რეაქციის მძვინვარების დროს, გალ. ტაბიძის მწერლობის დაწყების პირველ წელს (1908 წ.), პირველ მაისს, არალეგალურ სალამოზე წარმოთქმულ ლექსში ვკითხულობთ შემდეგს:

„პირველი მაისი
მოვიდა ამაყი.
. . . . . . . .
მეფეს კი, მეფეს კი—
ქარით და გრიგალით
თითქო არაფრის
და არა რაისი—
ციხეში, ბორკილში
შიმშილი—ომებში
სურს ჩაკლას მუშათა
პირველი მაისი.
დრო მოვა და ისევ
**პროლეტარიატი**
**მაისის ვარდებით**
**სიცოცხლეს აავსებს.**
**სალამი ამ დღეებს,**
**სალამი იმ ბრძოლებს,**
**იმ ნათელ გაწვევას**
**იმ პირველ მაისებს!"**

ეს გალ. ტაბიძის ერთ-ერთი პირველი ლექსია. ამ ლექსის მებრძოლი სული და მისი ნათელი პერსპექტივა, იმ თავითვე წაიყვანდა პოეტს უმძიმესი და საამაყო რევოლუციონური ბრძოლის გზით. ეს ასე არ მოხდა, იმიტომ, რომ იმ პერიოდში გალ. ტაბიძის სოციალურმა ბუნებამ ვერ შესძლო ამ სიმძიმის აწევა. გალ. ტაბიძე—წარმომადგენელი იყო წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ ფენის, რომელიც ხან რადიკალური იყო, ხან მერყევი; მაგრამ დიდი შემოქმედების მერყეობა არასოდეს არ გადასულა რეაქციონურ აგრესიულობაში, კონტრრევოლუციაში. გალ. ტაბიძის პოეზიას არასოდეს არ მიკარებია ბურჟუაზიულ მწერლების პოლიტიკური პასკვილიანტობა და არც ბურჟუაზიის მხარეზე მყოფ გაცოფებულ წვრილ ბურჟუას უნიჭო სიბეცე. გალ. ტაბიძე არ ჩარეულა იმდროინდელ ქართულ პოეზიის ნიშანდობლივ შოვინისტურ ფერხულში. მას არ ახასიათებდა აგრესიული ნაციონალიზმი და ის შორს იდგა პატრიოტულ ლირიკის წვრილფეხა მესტვირეებისაგან. გალ. ტაბიძე არასოდეს არ დასულა იაფასიანობამდე, პოეზიის მდარე, მეშჩანურ, ეროტიულ სამდაბლოდ გადაქცევამდე.

სიმბოლიზმის და ძველი რომანტიზმის ბევრი ელემენტების შემცველი გალ. ტაბიძის შემოქმედება განსხვავდებოდა, ქართული სიმბოლისტების, „ცისფერი ყანწელების" პოეზიისაგან. ის ყოველთვის მათზე უფრო მემარცხენე იყო. ამიტომ ის სამართლიანად გამოარჩია და „ცისფერ ყანწელებისა"-გან გამოაცალკევა ამხ. ფილიპე მახარაძემ, 1918 წ. „ცისფერ ყანწელების"-ს გამოსვლის გამო დაწერილ წერილში. გალ. ტაბიძისათვის უცხო იყო „ცისფერ ყანწელები"-ს სიმახინჯის ესთეტიკა, მათი ხელოვნურობა, მათი საერთოდ რეაქციონური, განსაზღვრული რკალი. ისიც მეტისმეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ თუ როგორ პირველ პერიოდის „ყანწელებმა" დაამახინჯეს, ხელოვნურად დაამძიმეს, მეტის მეტად გაამუნდოვანეს და ამით დაალარიბეს ქართული ლექსი, ქართული ლექსიკონი. გალ. ტაბიძემ კი ქართული ლექსი დახვეწა, გაამდიდრა მან პოეზიის ფორმის ტრადიციული პრიმიტივი მოხსნა, დასძლია და დაშალა, არა მდარე ჟონგლიორობით, არა ლექსის კომბინატორულ [illegible] შედგომით, არამედ არსებითი ორგანიული მრავალფეროვნებით, ლექსიკის სიუხვით, გამოსახვითი საშუალებების სიღრმით, ყალბი სახეების განდევნით, მათთან შედარებით აუცილებლად ნაკლები ბუნდოვანებით. ამაშიაც არის განსხვავება „ცისფერ ყანწელების" სიმბოლიზმსა და გალ. ტაბიძის სიმბოლიზმს შორის.

მიუხედავად ყოველივე ამისა, გალ. ტაბიძის პოეზია, პირველ პერიოდში რევოლუციონურ ბრძოლის სიმაღლეზე ვერ იდგა. ლექსი „პირველი მაისის" გვერდით 1908 წელსვე, ლექსს „სერენადაში" პოეტი ჩივის.

„ემღერი, ვით არვის არ უმღერია,
წყეულისაც მოვკლავ... მაგრამ
რად მინდა?"

პოეტის პერსპექტივას ბურუსი იპყრობს, ის გამოსავალს ვერ ხედავს, გაურკვეველია და [illegible]. მოვუსმინოთ თვითონ პოეტს:

„გაუგებარი დროში
მას მიაქციეს ზურგი.
ლიტერატურულ წრეში
მისი სასტიკი ნიჭი.
უგზობაზე ჩივილს
ისმენს ოცნება მწირი,
და ისევ უცნობ ტკივილს
გრძნობს უდროობის გმირი".

თითქმის ავტოპორტრეტული სტროფებია. უდროობის ხანაში, პოეტს გზები ვერ მოუნახია. ეს გარემოება მასში უცნობ ტკივილს იწვევდა. ამაში მჟღავნდება წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის სათანადო ფენის სოციალური ბუნება.

შემოქმედი — პოეტი თვითმპყრობელურ, კაპიტალისტურ - მემამულეთა საზოგადოებრიობის გარემოცვაში იტანჯებოდა, პესიმიზმს იყო მიცემული; ამ საზოგადოებრიობას ის ვერ ეგუებოდა, ის მას არ მოსწონდა, ეზიზღებოდა, გაურბოდა, სირაქლემასავით ემალებოდა მას, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობდა, პერსპექტივა და პროგრამა არ ჰქონდა, ვერ ებრძოდა მას.

პროლეტარულმა რევოლუციამ პოეტს აუ გამოსავალი უჩვენა, გზა დაანახვა, მისი შემოქმედება სოციალური აზრით, მებრძოლი დიდი რევოლუციონური საქმე გაუჩინა და შინაარსით აავსო, პერსპექტივა მისცა, იდეურ-მხატვრულად გაამდიდრა. პოეტიც საბოლოოდ და მტკიცედ, ორგანიულად და უკან დაუხევლად დაუკავშირდა პროლეტარულ რევოლუციას.

რევოლუციამდე კი გალ. ტაბიძეს ხასიათ სიჭაბუკით ახასიათებდა სევდაც, განწირულობაც, წარსულის რომანტიკის ელემენტებიც, დროდადრო ნაციონალისტური განწყობილებანიც (თუმცა ამას მის პოეზიაში არასოდეს არ მიუღწევია, ბრმა, პატრიოტული ნაციონალის დონემდე), უნებისყოფობაც, დაბნეულობაც, სასოწარკვეთილებაც („ჯვარის ეცვი თუ გინდა! სამშვიდე—არ არის, არ არის, არ არის".) ყველაფერ ამის ნათელყოფა უფრო ვრცლად შეიძლება, მაგამ ეხლა სხვა მხარეა საინტერესო.

არ არის სწორი ის აზრი, რომ ეითომცდა პოეტი სავსებით ჩამწყვდეული იყო ამ



ნატახტარი—სამიჯნო კამერა, სადაც გროვდება 18 წყაროს წყალი. აქედან წყალი მიდის ტფილისში. სამიჯნო კამერა ტფილისის აუზებზე 7 მეტრით მაღლა დგას.

განწყობილებების წრეში, დამონებული იყო მათ მიერ. არა. პოეტი გრძნობდა უდაბნოობას მთელ საშინელებას. ეს ერთის მხრივ ბადებდა მასში მძიმე, პესიმისტურ, სასოწარკვეთილ განწყობილებებს, მაგრამ მეორეს მხრივ მასში არ ჩაკლულა სურვილი და სწრაფვა ამ ხანისა და მისგან შექმნილ განწყობილებებისაგან თავის დაღწევისა:

„ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა ჩემი
სამშობლო
რად მინდა მივწვდე მიუწვდომელს,
ვრცელს და უსაზღვროს?
ჩემს უდაბნოს ვერ გავსცილდები მაინც
ვერასდროს.

. . . . . . . . . . . .

ო. სად ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე
ძალო,
სიცვალიერის შავი ნისლი რომ
გამაცალო!".

პოეტს სულშემხუთველ მაჯლაჯუნასავით აწვევს იმ დროის უდაბნოური სიცალიერე, მაგრამ ის მაინც მოუხმობს რაიმე ძალას, ამ მისთვის აუტანელ მდგომარეობისაგან თავის დასახსნელად. უმრავლეს შემთხვევაში ეს ძალა მას ნათლად წარმოდგენილი არა აქვს, ვერ პოულობს და ვერ ეცნობა მას; მაგრამ გალ. ტაბიძის დიდი შემოქმედებითი ბუნება ამ მოჯადოებულ წრეში, ყოველთვის და ყოველშემთხვევაში არ არის ჩამწყვდეული, დრო და დრო ის არღვევს ამ წრეს და ნათელ რევოლუციონურ შეგნების სიმაღლეზე ადის. ჯერ კიდევ 1916 წელს პოეტი ცდილობს მოხსნას და უკუაგდოს წარსულის რომანტიკა, ის უძლიერეს სურვილს და ეუნერგიულეს მისწრაფებას აძლევს რევოლუციისადმი:

ო როგორ მინდა მეგობრებო, თუნდაც
ერთი დღით
ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი
თავისუფლება,
ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად
გავშალო ფრთები,
განა არ არის საშინელი საცოდაობა
ისეთ ქვეყანას, როგორიც ჩვენი
საქართველოა
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვე
ნიერეს?
ვულკანიური ორკესტრივით უნდა
ისმოდეს
გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ
ძლიერი ქარი".

(1916 წ. „წერილი მეგობრისადმი").

ასეთ რევოლუციონურ განწყობილებას პოეტი ამჟღავნებს თვითმპყრობელობის დროს. ერთი წლის შემდეგ მოშხდარი ბურჟუაზიული რევოლუცია, მენშევიკურ-შოვინისტური „საქართველო" გალ. ტაბიძეს შეუერთდა ნაციონალისტურ კაკაფონიას, არამც თუ არ აღფრთოვანდა მიკიტნებისა და სპეკულიანტების დემოკრატიით, ოპერულ „სოციალიზმით", არამედ აშკარად გრძნობდა ასეთი საქართველოს ბურუსიან მომავალს, მის უბადრუკობას და მას უპირდაპირებდა რუსეთის ნამდვილი რევოლუციის გუგუნს, მის ცეცხლის ხმას და ხმალთა წკრიალს:

„არ ვიცი იგი, მომავალი რას მექადება.
რაზე საუბრობს ქარი ზეკარის?
სამშობლო მხარე მე ბურუსში წინ
მეხატება
ადამიანი ზეცას შეხარის.
შორით მოისმის ცეცხლის ხმა და
ხმალთა წკრიალი,
და შეშფოთდება ოცნება სული;
გადიელის თვალწინ ამღვრეული
დროის ტრიალი,
ალქაფებული, აზვირთებული.
სამშობლო მხარეს ის გრიგალი მსურს
მიუძღოდეს
ფიქრს აღელვებულს და გულდამკოდავს,
ჩემს მომავალში დღე, მხოლოდ იმან
იუწყოდეს,
ეს ჩემი გული თუ რა რიგ შფოთავს".

(1918 წ. „ციხის ნანგრევებთან").

ოქტომბრის რევოლუციის პირველ ხანებში გალ. ტაბიძე მოსკოვ-ლენინგრადში იყო. ის ბრუნდებოდა სამშობლოში და რევოლუციის სურათებთან **დაშორება მასში** მწუხარებას იწვევდა:

„გახსენებისას მომძახოდა მტანჯველი
ლანდი:
ბიძემ არაც თუ არ მიიღო, არამც თუ
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი,
ლენინი, კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი
„დალანდი",
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი
ცრემლი".

რომ მენშევიკურ საქართველოში, პოეტმა სამშობლო ვერ იპოვა და ამ ცრემლით განშორებულ რევოლუციის გრიგალისაკენ ეჭირა თვალი, რომ ის მასში ეძებდა ერთადერთ ხსნას, ეს [illegible] ნათელი ხდება იმ ლექსის გაცნობიდან, რომლიდანაც ამონაწერი ზემოთ მოვიყვანეთ („ციხის ნანგრევებთან").

აი ასეთია პროლეტარულ რევოლუციასთან თავიდანვე მისული ის შესაძლებლობანი, რომელნიც გალ. ტაბიძის პირველსავე შემოქმედებაში იყო მოცემული. ცხადია ეს არ ასულა რევოლუციონერ შეგნების მაღალ და თანმიმდევარ დონეზე, ეს მოხდა მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ერთგვარი ყოყმანისა და პირველხანებში დაბნევის შემდეგ, პოეტმა უმაღლესი თავისუფლება ჰპოვა პროლეტარულ რევოლუციაში, მხოლოდ პროლეტარიატის ხანაში განხორციელდა პოეტის ოცნება:

„ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად
გავშალო ფრთები“.

პოეტის სევდა შეიცვალა — აღმაფრთოვანებელი სიხარულით, სასოწარკვეთილება — ენთუზიაზმით, წარსულის რომანტიკა, დაბინდულობა, გაურკვევლობა — რევოლუციის რომანტიკით, მტკიცე, თანმიმდევარი ნებისყოფით.

მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიული ფიგურა, დიდი პოეტი—გახდა პროლეტარული რევოლუციის პირველი მახარობელი, შემდეგ მისი თანმიმდევარი, მტკიცე მოკავშირე. კონტრ-რევოლუციური ემიგრაციის სალახანები ბევრს გაკიოდნენ და შინაური ემიგრანტებიც აწრიპინებდნენ კალამს, იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები ქართულ კულტურას ანადგურებენო. სინამდვილეში კი ვხედავთ, არამც თუ ახალი, პროლეტარული, საბჭოთა ქართული კულტურის, მწერლობის, პოეზიის აყვავებას, არამედ ძველი კადრების რევოლუციასთან დაკავშირების შედეგად უმაღლეს შემოქმედებით ნაყოფიერებას, უჩვეულო გაშლასაც.

ქართული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელი გალ. ტაბიძე — პროლეტარულ რევოლუციის პერიოდში კიდევ მეტად გაიზარდა, იდეურ ცხოველმყოფელობასთან ერთად მაღალ მხატვრულ სიმაღლეზე ავიდა, მხოლოდ პროლეტარულმა რევოლუციამ შეუქმნა გალ. ტაბიძეს ნორმალური მუშაობის პირობები. სათანადო ატმოსფერო და ჩვენ კიდევაც მოწმე გავხდით, პოეტის უდიდეს შემოქმედებით ნაყოფიერების; რევოლუციისადმი მიძღვნილ მრავალი აღფრთოვანებული გულწრფელობით გამთბარი, ბრძოლის ხალისით გამობრძმედილ, მხატვრულად ბრწყინვალე ლექსების გარდა. პოეტმა მოგვცა შესანიშნავი პოემების მთელი რიგი. „ჯონ რიდი“, „მაციდიზმი“, „აღმოსავლეთი“, „ეპოქა“, „რევოლუციონური საქართველო“ და სხვ.

პოეტმა არ გაიზიარა იმედები ნაციონალისტურ ინტელიგენციის; მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაშენების გზაზე მიმავალ მსრბოლავი ჯგუფი, მძლავრად ებღაუჭებოდა მას, უნდოდა თავის ტყვეობაში მოექცია იგი, საკუთარ თავსავით დაებრმავებინა და მაშასადამე, თავის მსგავს იმპოტენტად გადაექცია. დიდმა შემოქმედმა გათელა ქონდრის კაცუნების წუწუნი და გულამოსკვნილი წრიპინი, ზიზღით გადაისროლა მათი დახავსებული, გახუნებული და საბრალო „იდეები“ და რევოლუციის ორკესტრს შეუერთდა თავისი მძლავრი, თავისი შესანიშნავი და უნიჭიერესი პოეტური ხმა.

უაღრესად მუსიკალური პოეტი გალ. ტაბიძე, რევოლუციის მუსიკაში ღრმესი წვდომით, კიდევ უფრო გამდიდრდა მუსიკით, სიმღერით, ლირიკით, სწრაფვით. ბოლშევიზმის იდეებმა გაანაყოფიერა მისი შემოქმედება; რევოლუციამ გაზარდა მისი მხატვრობის ხარისხი. იყვნენ პატარა ფილისტერები ქართულ პოეზიაში, რომელთაც პირველ პერიოდშიაც აწუხებდათ პოეტის სიმძლავრე, მისი პოეტური სიმაღლე, ებრძოდნენ და ცდილობდნენ მის დამცირებას. ამ ფილისტერებმა რევოლუციის შემდეგაც ვერ მოისვენეს.

გალ. ტაბიძემ რევოლუციასთან მჭიდრო, იდეური და ღრმად გულწრფელი და საბოლოოდ დაკავშირებით დაამტკიცა, რომ ის დიდი შემოქმედია. მან წარსულისაკენ გადებული ყველა ხიდები დაწვა. მწერლობის ფილისტერებს კი წარსულის ხიდები, ზურგზე კუზივით ამობურთული, დაკეცილი დააქვთ და მზად არიან ყოველ ხელსაყრელ მომენტში გაშალონ და გადაისროლონ წარსულისაკენ. სწორედ ეს ხალხი ცდილობდა რევოლუციის წლებში, გალ. ტაბიძის შემოქმედებითი აყვავების ხანაში, ჩუმი მიეთ-მოეთით ემტკიცებინათ, რომ პოეტი მხატვრულად დაკნინდა, რომ ის ნამდვილი პოეტი მხოლოდ წარსულში იყო და ა. შ. ასეთი მიეთ-მოეთი მხოლოდ მათი ბეცი, ფილისტერული და არა რევოლუციონერი ბუნების მაუწყებელია და სხვა არაფერი. ამის საწინააღმდეგო მტკიცებაც კი ზედმეტია იმდენათ მჭევრმეტყველურია გალ. ტაბიძის რევოლუციონერი შემოქმედება.

რევოლუციის იდეებით გულსავსე, მხატვრულად კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასულ, პოემების დიდი ტილოებზე გადასული გალ. ტაბიძის თემატიური მარაგი მრავალფეროვანია. თუ პირველ ხანაში პოეტს ახასიათებდა რევოლუციის ზოგადი, რომანტიული ათვისება, მისი წარმოდგენა როგორც სტიქიური ნგრევის — ეს უკვე არ ითქმის უკანასკნელ პერიოდზე. პოეტი ჩასწვდა რევოლუციის გეგმიანობას, ბოლშევიკურ თანმიმდევრობას, სოციალისტურ მშენებლობის დიდი და „პატარა“ საქმეების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

პოემა: „რევოლუციონური საქართველო“ თვალსაჩინო ნიმუშია, სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული საქმიანობის ასახვისა.

გალ. ტაბიძე ისეთი პოეტია, რომელსაც ყველაზე მეტად ახასიათებს რევოლუციის რომანტიკა, საერთოდ რომანტიკული ფერები, მაგრამ ეს რომანტიკა არ არის გადასული განყენებულ, ცრუპენტელა რომანტიზმში, — ის სოციალისტურ რეალობას ეყრდნობა, ამ რეალობის მხარეების გამორჩევას, წინ წამოწევას და პერსპექტიულ მოცემას აწარმოებს.

„რევოლუციონური საქართველო“ და საერთოდ გალ. ტაბიძის უკანასკნელი პერიოდის შემოქმედება სოციალისტური რეალიზმის ელემენტების შემცველობით ხასიათდება.

„რევოლუციონურ საქართველო“-ში ჩანს თუ როგორი ხელჩართული ბრძოლა და მუშაობა სწარმოებს სოციალიზმის დამკვიდრებისათვის. ინდუსტრიისა და კოლექტივიზაციის კონკრეტული ობიექტები, ძველი და ახალი, უკანასკნელის ზრდა და განმტკიცება, — აი რა არის ამ პოემის შინაარსი, მაღალ მხატვრულ ხარისხში აყვანილი. ამასთან ერთად პოეტს მოცემული აქვს კლასიური მტრების მკვეთრი სახეები. ზუსტად ჩამოსხმულია კულაკის სახე, „არყის სუნსა და ქარისაგან ჩახლეჩილი ხმით“, მისი შემპარავი ბრძოლის ფორმები, კლასიური ტაქტიკა.

კულაკი დასევდიანებულია, ის საერთოდ ყველასა და ქვეყნის შესახებ დარდობს:

„მწუხარე და დარდიანი
ახლა ჩვენში ვინ არ არის“
„დარდი რაა,
თქვენ ქვეყნისა თქვით“.

აქ არ არის განურჩეველი და ობიექტური გადმოწყვეა კულაკის სევდის, მისი „ტრაგედიის“, არამედ მოცემულია ამ სევდის და ამ ტრაგედიის საზიზღარი სოციალური ბუნება. ამ კულაკის სახეში მკვეთრად ნაჩვენებია კერძო საკუთრების განწყობილებანი.

საზოგადოებრივი საკუთრების პრობლემა — ცენტრალური პრობლემაა საბჭოთა მწერლობისათვის და გალ. ტაბიძის პოეზია, მისი ეპიური ტილოები, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხს.

მრავალია ის საკითხები, რომელსაც ეხება გალ. ტაბიძის პოეზია. კლასიური ბრძოლის ფართო მასშტაბით, აღმოსავლეთი, რევოლუციის წარსული, აწმყო და მომავალი, მტრების შიგნით, მხატვრულ ხორცს ისხამენ გალ. ტაბიძის პოეზიაში. ამ ტილოებში („ეპოქა“) და სხვ. ბევრი შესანიშნავი სურათი არის მოცემული. პატარა პოემა ლექსებშიაც პოეტი აღწევს დიდ მხატვრულ დამაჯერებლობას და სიღრმეს. ამის საილუსტრაციოდ უნდა ხაზგასმით გამოვარჩიოთ პოემა ლექსი „პრესა“.

გალ. ტაბიძის უდიდესი ღირსება ეპოქის მოწინავე იდეების და დროის ღრმესი შეგრძნებაა:

ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ,
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ—
დრო, დრო აღნიშნე. მოაწერე ლექსს
ეს წელიწადი, დღე და საათი“.

ეპოქის და დროის ასეთმა შეგრძნებამ გახადა გალაკტიონ ტაბიძე საქართველოს მუშათა კლასის საყვარელ პოეტად. ამჟამად საბჭოთა ხელისუფლებამ გამოხატა ეს სიყვარული მით, რომ მას მიანიჭა სახალხო მწერლის სახელი.

გალ. ტაბიძე პირველი პოეტია საქართველოში, რომელმაც მიიღო სახალხო პოეტის სახელწოდება.

მან ეს დაიმსახურა.

თავისთავად ეს ფაქტი იმასაც ამოწმებს, თუ რამდენათ აფასებს, ზრუნავს და სიყვარულის შარავანდედით მოსავს მუშათა კლასი, საბჭოთა ხელისუფლება, რევოლუციის შემოქმედს, მწერალს, პოეტს.

გალ. ტაბიძის 25 წლის მუშაობის იუბილეც კიდევ მეტი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის გაშლის თარიღი უნდა იქნეს და არა დასვენების, წარსული მუშაობის მხოლოდ შეჯამების.

გალ. ტაბიძე იმდენათ დიდი შემოქმედია, რომ ასეთი მომავალი მუშაობა ეჭვს გარეშეა. ამის თავდებია სოციალისტურ ქვეყნისათვის თავდადებულ მუშაობის ის ღრმა შეგნება, რომელიც უკანასკნელ ლექსშიაც მკაფიოდ ჩამოაყალიბა პოეტმა:

„რწმენით იარ, იარ, იარ!
მტკიცე გქონდეს ბიჯი;
ყოველ ნიჭზე ძლიერია
ქვეყნის დაცვის ნიჭი“.

# ჩათმაში—ნავთის მაძიებლებთან

ნარკვევი.—ილო. მოსაშვილი

ჩვენს გასწვრივ, კოჯერის ქედზე მოძრავი სილუეტები აღიმართა. შავი წერტილები ხან ჩნდებიან, ხან იმალებიან დასიცხულ ბუღში.

გვზვერავს ვინმე თუ უდაბნოს კვალარეული მგზავრები არიან?

სავველე ბინოკლი დავუმიზნე, ქედზე აშკარად გამოჩნდა თეთრ ტანსაცმლიანი უცნობი, რომელსაც მეორე მხლებელი დიდი ქოლგით ჩრდილს უმარჯვებდა.

ეს ინჟინერი პეტროვია, რომელიც აღარ ეშვება ჩათმას და ივრის ხეობას. მან საფუძვლიანად შეისწავლა ნაბამბრების და კილა კუპრას ნიადაგი და შეუმჩნევლად არ დასტოვა ნავთის წყაროების მცირედი გამონაჟონიც კი, თუ სადმე მოიპოვებოდა.

ნავთის წყაროების ძებნაში ინჟინერი პეტროვი აქეთ მიადგა ქვანახშირის საკმაოდ მდიდარ საბადოებსაც ყანდარის ხევთან, სადაც ქვანახშირის ფენას მთლიანად დაკავებული აქვს სამ კილომეტრიანი სივრცე. ინჟინერ პეტროვს ქვანახშირის საბადოების დაწვრილებითი გამოკვლევა არ უწარმოებია, რადგან ეს მის დანიშნულებას არ შეადგენდა, მისი ვარაუდით კი ქვანახშირის მარაგი ამ რაიონში მინიმალურად 600.000 ტონას შეადგენს. ეს ქვანახშირი საუცხოვოდ იწვის და ასანთის ალთან მიახლოვებისას იძლევა დამწვარი რეზინის სუნს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ქვანახშირი ჰაეროვან ჯიშს ეკუთვნის და მასასადამე—მაღალი ხარისხოვანია.

ინჟინერ პეტროვის აზრით ქვანახშირის საბადოებს აქ სამ კილომეტრზე მეტი სივრცე უნდა ჰქონდეს და გაცილებით მეტ მარაგს შეიცავს, ვიდრე მისი სახელდახელო ვარაუდი შეადგენს.

მართალია, ჩათმის ველი და კერძოდ ყანდარის ხევი ეგზოტობის გამო ქვანახშირის სამრეწველო დამუშავების პერსპექტივას არ იძლევიან, მაგრამ გზის საკითხი აქ არც ისე გადაუჭრელია.

ჩათმის ველიდან მტკვრის სანაპირომდე აქედან რჩება სულ რაღაც 25 კილომეტრიანი მანძილი, სწორეთ იმ ადგილამდე სადაც მტკვარი გადაჭრილია რკინის გზით სადგურ ფოილოსთან. თვითონ ჩათმის ველი ხელის გულივით გატკეცილია და აქ გზის გაყვანას სიძნელე არ ელის, დაბრკოლებას შეადგენს მხოლოდ ჩათმის ველის ძირას ამართული ქედები, რომლის სიგანე შედარებით უმნიშვნელოა და მისი გადაჭრა არც ისე ძნელი იქნება.

მაშ ასე, ჩათმის ნავთი მდიდარ ნიადგს კიდევ ერთი სიკეთე ემატება,—ქვანახშირის ზოლებით გაჭედილი ფენები, რომელიც ეხლავე მოითხოვს ყურადღებას და სასწრაფო გამოკვლევას.

პირდაპირ საოცარია!

როდესაც შუა ზაფხულის წვადღეში გასცქერი ამ ველს, ერთი შეხედვით უდაბნოს ჰგავს. ნამდვილ გადამწვარ უდაბნოს, რომელსაც სამხრეთის ცხელი ქარი ლოკავს გამშრალი ენით და მზისგან გადაბუგულ ქედებზე მტვრის მრისხანე ღრუბელს აყენებს.

გეზარება სუნთქვა და ცას ხაშმის ხიყვითლე აქვს მოდებული.

ირგვლივ სიცოცხლე ჩამკვდარა და ისმის გულის გამწყალებელი ხმა—როდესაც ნაპრალებათ იჩეხება დაგვალული ნიადაგი.

ამ ნიადაგის სიღრმეში კი ამდენი სიმდიდრე, ამდენი, გამოუყენებელი დოვლათი წევს საუკუნოებით! მხოლოდ საბჭოთა ქვეყანამ გაალვიძა ჩათმის უდაბური ველი, მხოლოდ მოუსვენარმა საბჭოთა გეოლოგებმა შენიშნეს ამ დაძინებულ დევკაცის ნავთით გატენილი ვენების მაჯის ცემა.

●

ახლად სჩანს ჩვენი ნახევრად სუბტროპიკული ფორდი, რომელიც ჯეირნების დამფრთხალმა ჯოგმა გაიყოლია.

ძალიან შორიდან ყრუ თოფის სროლის ხმა მოდის, სწორედ იმგვარად, როგორც საომარ ხაზზე იცის წინადღის დიდი ბრძოლის შემდეგ...

ჩვენ კი ველარ გაუძელით მზის გახურებულ ნემსებს და ნავთიანი გორაკი დავტოვეთ ჩრდილში თავის შესაფარებლად... ჩრდილი კი ამ ველზე არსად არის.

სათითაოდ შევძვერით მანქანების ქვეშ („ამო" უფრო სტუმართმოყვარე აღმოჩნდა) და 18 საათიანი განუწყვეტელი მგზავრობით დაღლილებმა თვალი მოვატყუეთ...

აგრიალებულმა მოტორმა მალე დაგვიფრთხო დამტკბარი ძილი და ცნობის მოყვარენი ერთბაშად აგვშალა.

ჯეირნებზე მონადირე მანქანა ხელცარიელი დაბრუნდა — ათამდე დაცარიელებულ საყაზნით.

თოფის სროლის ხმა ჩვენს სადილს გაცილებით უკეთეს პერსპექტივას ჰპირდებოდა. „ამოს" შოფერმა სამწვადე ცეცხლიც კი გაიაღა ნანადირევის შამფურზე დასატრიალებლად, მაგრამ მისი ცეცხლი მალე ჩააქრეს სირცხვილ ნაჭამევმა მონადირეებმა.

კიდევ კარგი, რომ ჯეირნები ქედებზე შეიფანტნენ და ფორდმა ველარ შესძლო დევნა, თორემ ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს მოგვიხდებოდა მათი ლოდინი!

წყალი გამოგველია. ატეხილ წყურვილს საზამთროს ნაჭრებით ვიკლავთ, ბოლოს საზამთროც დაილია.

მზე გადაიხარა და დასავლეთიდან ლეგა ღრუბლები აიშალენ.

ჩქარა უნდა დავიძრათ, თორემ თუ ავდარმა მოგვასწრო ჩვენი მანქანებიანათ ჩავრჩებით სადმე ხევებში, ხოლო თუ ირიაც ადიდდა რამდენიმე დღეს თავს ველარ გავახწევთ ჩათმას და უსურსათო დროსტარება გველის.

სამივე მანქანა აგუგუნდა და კოჯერის ელელტეხილისკენ დავიძარით. ნელა მოვსრიალებთ დასავლეთისაკენ, თან აქა-იქ ვაჩერებთ მანქანებს. ინჟინერები აქედანვე გვგმავენ საცდელ ჭაბურღილების მდებარეობას. ამ შემოდგომაზე უნდა გააჩაღონ მუშაობა. ჩათმის ველურ მყუდროებას აღსასრული ელის.

აი, ინგლისელების ნაკვალევიც. ამაღლებულ გორაკზე უპატრონოდ ჰყრია სხვადასხვა მანქანების ჩარხები და ბორბლები, რომელნიც სჟანგს დაუფარავს, აქ დასცეს მათ 1902 წ. პირველი კარავი და საცდელი ჭაბურღილის კოშკი ამართეს, მაგრამ უშედეგოდ. უცხოელმა ინჟინერებმა მაშინ ვერ შესძლეს ის, რაც ოცი წლის შემდეგ საბჭოთა გეოლოგებმა შესძლეს. ყაჩაღურ სახელდახელო ექსპლოატაციას ნაჩვევმა კაპიტალისტებმა მრავალწლიან შრომას გული ვერ დაუდეს და ისევ მალე დასტოვეს ჩათმის ველი.

— როგორც მათი ნამუშავრიდან ჩანს, ინგლისელი გეოლოგები სასტიკად შემცდარან, ეტყობა ისინი ნავთს მაღალ ფენებში ეძებდენ და ჭაბურღილებს ნავთის წყაროების მახლობლად ჭმართავდენ მაშინ, როდესაც მთავარი ნავთიანი ფენები გაცილებით შორსა და ღრმა ნიადაგებში უნდა ვეძიოთ! — გვიხსნის ამხ. გიჟიმყრელი.

მანქანები ახოხდენ კატარის ქედზე უკან დარჩა ჯეირნების სამყოფელი ტაფობი. ჩვენს წინვე ისევ იერის ხეობა გაიშალა.

ამ ადგილას მთაგრეხილს უნაგირივით ჩაზნექილი ზურგი აქვს და პირდაპირი გადალახვით მანქანებს შეუძლიათ გზის შემოკლება ათი კილომეტრით მაინც. გვეშურება რადგან დასავლეთიდან წამოსული ღრუბელი თანდათან მრისხანედ იკუმშება და საავდროდ მოიწევს დაბლა.,

იმავე გზით ველარ დავბრუნდებით, რადგან ას კილომეტრამდე მო გვიხდება გავლა, ამიტომ შირაქს მარჯვნივ ვტოვებთ და მოკლე გზით იერის ხეობაზე ვეშვებით.

●

დაღამდა. რომელიღაც ქედის სათავეებიდან ცის დასავალზე უცნაურმა ვარსკვლავებმა გაიელვეს. ქვეყანას გამშრალი ღრუბელი აქვს მოდებული და ირგვლივ ღამის შავი კედლებია ამართული, ვარსკვლავები კი მაინც ბრიალებენ და ჩამქრალ სიბნელეს თეთრი შუქით ავსებენ. მანქანები შევაჩერეთ და ვარსკვლავებს მივაშტერდით.

ისევ ამხ. გიჟიმყრელმა გაგვარკვია. ეს ვარსკვლავები საქ. ნავთის ერთ-ერთი შორეული უბნის ჭაბურღილების ელექტრო სანათურები აღმოჩნდა მდ. იორის გაღმა. ჩვენ მას 15—20 კილომეტრიან მანძილიდან გავცქეროდით და ღამეში ჩაფანტული სინათლეები ვარსკვლავებიდან არაფრით განირჩევა.

„ამო" უკან ჩამორჩა. ჩვენ მას ველით და მაგარი სირენებით გავძახით, მაგრამ მანქანების ძახილს მოახლოვებული ავდრის ქუხილი ჰფარავს. ბოლოს ავტოები პირით მისკენ შევატრიალეთ და მანქანების სანათურების პროჟექტორებით ვანიშნეთ ჩვენი ადგილმდებარეობა.

„ამომ" მალე მოგვაგნო. აქ უნდა გავშორდეთ ერთმანეთს. შირაქის ნავთელები წითელ-წყაროსკენ გაუხვევენ, მე და ამხ. მალანია კი სიღნაღისაკენ გავწევთ ბოდბის მიმართულებით. ვეთხოვებით ამხანაგებს. ამხ. ელენტი და გიჟიმყრელი ნახევრად სუბუქ ფორდზე გადადიან და მოახლოვებულ შუაღამეში იძირება მათი მანქანები.

სეტყვიან წვიმის მსხვილმა მარცვლებმა ფორდის თავსახურს დაუშინეს და მე და ამხ. მალანია ნაბადებში შევეხვიეთ. გზა ძნელი გასარჩევია და ჩვენი მემანქანე ფრთხილად ატრიალებს საჭეს. მე კი სანადირო თოფმომარჯვებული მანქანის მარჯვენა ბორტიდან გავცქერი წვიმიან გზას.

მანქანის სანათურებს ღამე მგზავრობაში უცნაური ძალა აქვს. სიბნელეში სოლივით შეჭრილი შუქი თავისებური ჰიპნოზით იზიდავს მოხეტიალე ნადირს. ეს განსაკუთრებით, მელიასა და კურდღლებზე ითქმის, რომელნიც გაშტერებულ თვალებით პირდაპირ აწყდებიან მანქანას.

თოფი გამზადებული მაქვს და მოუთმენლად ველი გულუბრყვილო მსხვერპლს. მანქანა უსწორმასწორო გორაკებში ძლივს იკვლევს გზას და ჩახლეჩილი ხმით იძახის ღამეში. სწვიმს და შავს ფარდაზე მანქანის სინათლე თეთრად დარბის.

აი მოძრავ ეკრანზე პირველმა სილუეტმა გაირბინა. კუდმოქნეულმა მელიამ კამარით გადაურბინა მანქანას და იქვე წამოსკუპდა. თოფი გავარდა და ნადირმა შეჰხაველა. მანქანიდან გადმოვეშვი და მისკენ გავქანდი, მაგრამ მელია ჩემზე მარჯვე აღმოჩნდა და იქვე მზესუმზირის ტყეში შერგო თავი. წავიდა... ჩემმა თანამგზავრმა დამცინავი სიცილი მომაყარა.

დასველებული დაუბრუნდი მანქანას და ისევ ჩემი პოზიცია დავიკავე.

ვინ იცის ჩემი დათოფილი მელია რომელ ბუჩქში ილოკავს შიშით აბურძგნულ ქულაჯას!

მანქანა დაიძრა და ახლა კურდღელმა ისკუპა ფორდის გაშლილ სინათლეზე. ეხლა კი უფრო საგულდაგულოდ გავხედე სამიზანოს და გავარდა თუარა თოფი, საცოდავი ცხოველი იქვე დაიგრიხა სასიკვდილოდ.

წვიმა გაავდა, ქარი ჰქრის და შეუძლებელია დიდხანს ერთი მიმართულებით ღამეში ცქერა. დაშლილი თოფი ბუდეში ჩავსვი და ნაბადი წავიხურე.

სოფელ ქვემო ბოდბეს მარჯვნივ ავუარეთ — და ძაღლები ავახმაურეთ. ამხ. შოფერმა უფრო გაბედულად მიუშვა მანქანა და მაღალ გორაკებში შეგვაქროლა, მაგრამ..

— ნელა, ნელა, სად მიგყავს, ხომ არ გადაირიე!..

ამხ. მალანიას ძახილი შემომესმა და ნაბდიდან ამოვძვერი.

მანქანა უფსკრულის თავზეა გაჩერებული და ერთი ნაბიჯია საჭირო, რომ ასე უშნოთ დავასრულოთ ჩვენი შესანიშნავი მგზავრობა.

გზა აგვერევია. ნელა დავეშვით უკან და ისევ სოფელში შევედით. ერთ-ერთმა გლეხმა ამხანაგმა გვასწავლა გზა და სოფლის განაპირამდე მიგვაცილა, მერე კი შარა გზას მივადექით რამდენიმე წუთში გომბორის ქედს ზურგზე მოვექეცით.

24 საათიანმა განუწყვეტელმა გზამ დაგვქანცა. 160 კილომეტრიანი მანძილი მოვიარეთ და ამდენი რამ ვნახეთ.

ჩემს თვალწინ ისევ ჩათმის ველია გაშლილი, დაგვალული და უდაბური, სადაც უძირო ვულკანური ორმოებიდან ნავთის წყაროები დის და ქვანახშირის ხელუხლებელი შავი ზოლები აწყვია ჯეირნების მუხლით დატკეპნილ ნიადაგში.

დღეს აქ საბჭოთა გეოლოგებს ბრძოლა აქვთ გამართული მრისხანე ბუნებასთან, რომელიც უგზოობით, უწყლობით, უდაბურობით სცდილობს მათ შეჩერებას, მათი ძალღონის გატეხვას. მაგრამ შრომის გმირებს მრავალი სიძნელე გადაულახავთ და ამ ბრძოლიდანაც გამარჯვებით გამოვლენ.

ეს იყო ამ რამოდენიმე თვის წინ, ახლა კი ჩათმის ველზე უკვე აიმართა პირველი ჭაბურღილები, საბჭოთა ქვეყანა ძლიერი ნავთის [illegible] [illegible].



გუნიბი. სურათი ამოღებულია 1901 წ. გამოცემულ რუსულ ბროშურიდან) სურათზე არ ჩანს ციხის გალავანი, რომელიც ზემო გუნიბის ბუნებრივ კედელს აქვს შემოვლებული ამჟამად. არც ზემო გუნიბის მარცხ. ფერდობზე შეფენილი ტყე მოსჩანს, მიუხედავად ამისა, სურათი მთლიანი გუნიბის პანორამას დაახლოვებით გადმოგვცემს. ეტყობა, რომ ის გადაღებულია მთა კოჰორის მწვერვალიდან, რომელსაც ისეთივე ადგილი უჭირავს ამ მთის მახლობლად, როგორიც მკითხველს სურათისადმი.

# გუნიბი

ნარკვევი.—აკ. გაწერელია

## 1. ალმართი. ქვედა გუნიბი.

გუნიბს სამი მხრით უვლის ორი მდინარე—ყარა ყოისუ და ავარიის ყოისუ. მწვანით დაფარული მიწის მასივი კონუსის ფორმისაა. ის თანდათან ვიწროვდება, წელზე, აღმოსავლეთით ქვის კედლის ქამარი არტყია, ხოლო მწვერვალი მთლიანად ძეთი სიპი და ქანგისფერი იგრელიეი არშიით თავდება.

ამ მთაზე ადის მანქანა. გზა ისე გრძელია და ისე დაკლაკნილი, რომ თავისთავად მოითხოვს დაძველებულ მეტაფორას—თითქოს ზღაპრული, თეთრი გველეშაპი წევს მთის ფერდობზე.

კედლების მაღალი არშიებიდან, ხშირად ხელოვნურად ამოშენებული ღარებით, ეშვებიან ჩანჩქერები.

პირველ „ქამარს" რომ გავცდით (ის ერთგან გაჭრილია, სადაც ქვითკირის შესასვლელი კარები გაუკეთებიათ), რამდენიმე წუთის შემდეგ, მანქანა მოედანზე გაჩერდა. ჩვენ ქვედა გუნიბში ვართ.

მოედნიდან დაშორებით მოთავსებულია ფოსტა, აღმასკომი, სკოლა, და საავადმყოფო. იქვე — „მთიელთა სახლი", დასასვენებელი.

საერთო ოთახში საწოლს ვიკავებთ. „მთიელთა სახლის" ასასვლელი კიბის გვერდით ზემოდან მოსდინარე სუფთა წყარო გამოდის რკინის ღარიდან. მტვერს ვიცილებთ.

ჩქარა ისევ გარეთ ვართ. ვეებერთელა ლოდებზე ავდივართ და ვათვალიერებთ გუნიბის მიდამოს.

აგერ ცნობილი „შირვანის ბილიკი" შორს, პირდაპირ კოჰორის მთა. (ამ მთის სიმაღლეებიდან ადევნებდა თვალს ბარიატინსკის 1859 წელს გუნიბის აღებას.)

სამხრეთით მოსჩანს აული ჩოხი.

თვითონ გუნიბი სამი ნაწილისაგან შედგება: ქვედა გუნიბად იწოდება აგარაკი, რომელიც მთის ფერდობზეა გაშენებული და სადაც ჩვენ გავჩერდით. აქედან 15 წუთის სავალია შუა გუნიბამდე, რომელიც 10 საჟენის სიმაღლიდან დაცქერის ქვედა გუნიბს (აქ აგებულია რუსული ყაზარმები. აქედან რამდენიმე წუთში ახვალთ ზემო გუნიბში, რომელიც მთის ვრცელ მოედანს წარმოადგენს.

## 2. „ზიიაგ გუნიბ".

გუნიბი ცენტრალური დაღისტანის გულია. მთები გარსშემორტყმიან მას, თითქოს იცავენ.

აღარ ისმის მურიდთა ცხენების საბედისწერო ჯირითი.

1871 წელს გრ. ორბელიანი სწერდა:

„მორჩილებით გადაწოლილა ეს ბუმბერაზი (დაღისტანი) ერთი ზღვე-

დან მეორემდის და არ იცი, მკვდარია ის თუ სძინავს? ქარავნები უდარდელად მიდიან; ურიკულებზე რკინის ხიდები გაუდვიათ, გუნიბს ეტლები მიჰქრიან; არსად ხსენება მტრობისა, არც სიძულვილი! ნუ თუ ეს სასწაული არ არის?

გუნიბს მართლაც ეძინა 1859 წლიდან ვიდრე გასაბჭოებამდე. ეძინა მას რუსის მილიტარისტების კონდახის ქვეშ.

ამჟამად ფხიზლობს, მაგრამ არა ტყვიების კაკანით.

ქვედა გუნიბში გახსნილია საავადმყოფო, სადაც წამლობენ ავადმყოფი მუშები და ადგილობრივი მცხოვრებნი. აქეთ იგზავნებიან ტუბერკულოზით დაავადებულნი.

ქვედა გუნიბში იცემა გაზეთი ყაზიყუმუხურ ენაზე „ზიიამ გუნიბ" (ახალი გუნიბი).

მოედანზე წიგნების პატარა დუქანია გახსნილი. იყიდება სახელმძღვანელოები და მხატვრული ნაწერები ავარიულ და ყაზიყუმუხურ ენებზე. გლეხები და მოწაფეები კითხულობენ ტოლსტოის „ჰაჯი მურატს" ნაციონალურ ენაზე.

და აქაც ჩანს, თუ რა უდიდესი ძვრა მოახდინა რევოლიუციამ ამ ხალხში, რომელსაც იგივე გრ. ორბელიანი „ყაჩაღების ბრბოს" ეძახდა.

„ზიიამ გუნიბ" უკვე აღარ არის „ყაჩაღების" თავშესაფარი.

. . . . . . . . . . . .

დაღისტნის ღამე თვლემს ყოისუს ხეობებში. გუნიბი სიბნელეში მიიცვა.

## 3. ზემო გუნიბი. გზა.

14 აგვისტო.

დილით მარტო გავემგზავრე ზემო გუნიბისაკენ. ქვითკირის ზღუდის გავლის შემდეგ ჩქარა ვაღწევ გაშლილ ზედაპირს. ეს არის ზემო გუნიბი—ტყეებით და ბილიკებით. შორით მოსჩანს აული გუნიბის ნანგრევები.

მთა-გუნიბის (გუნიბდაღ, როგორც ავარიელები ეძახიან) ზედაპირი სიგრძით 12-14 კილომეტრს აღწევს. ის შეკუმშულ ხელის გულივით არის ჩავარდნილი. ორივე მხრით ფერდობები. (გარედან, ქვედა გუნიბიდან თუ შეხედავთ, ეს ფერდობები ჩამოკვეთილია ქვის ბუნებრივი კედლებით)

მოდიან ცხენოსნები. 4 კილომეტრის დაშორებით რძის ფერმა ყოფილა.

გზების კარგად არ მცოდნემ ამ დიდი მანძილის გავლა ვერ გავბედე. გადავწყვიტე უკანვე დავბრუნებულიყავი, დამექირავებინა ცხენი, ან გამყოლი ყველა ადგილების დასათვალიერებლად.

საღამოს „მთიელთა სახლში" შემოვიდა ვინმე ალ. ივ-ძე, როგორც შემდეგ გამოირკვა — გზათა მშენებლობის ფინანსიურ საქმეთა გამომკვლევი დაღესტანში, ქ. როსტოვიდან. ისიც გუნიბის დათვალიერებას აპირებდა.



ზემო გუნიბის შესასვლელი კარები

მეორე დღეს (15 აგვისტოს) ადრე გავემგზავრეთ ზემო გუნიბისაკენ.

ალექსანდრე ივანესძე (გვარის კითხვით—არც მე და არც იმას—თავი არ შეგვიწუხებია) დაკვირვებით კითხულობს კედლებზე ტურისტების წარწერებს დიდი ალოებით *).

გავყევით ზემო გუნიბის ზედაპირზე, დავეშვით პატარა მდინარის („გუნიბკას"-ს) ნაპირებისაკენ. მდინარე მოზრდილ ნაკადულს მიაგავს, ჩვენ ერთი ნახტომით გადავედივართ მარცხენა ნაპირზე, რიჩილისაკენ.

მზიანი დარი იდგა, მაგრამ მაინც გრილა. ზღვის დონიდან 2350 კილომეტრის სიმაღლეზე ვართ მოქცეული.

ფიჭვნარში შევედივართ. ჩვენი გზა მიემართება აულს გუნიბისაკენ, რომლის ნანგრევებიც აქვევით მოჩანს.

## 4. „ბარიატინსკის ქვა". რკინის დაფა.

არყის და ფიჭვის ხეებს შორის, მაღლობზე, ოთხკუთხედიანი გუმბათი დგას, რომლის ქვეშ ძევს თეთრი ქვა—სიგრძით მეტრნახევარი, სიგანით—მეტრამდე.

ამ მაღლობიდან და ამ ქვაზე მჯდომმა თავადმა ბარიატინსკიმ მიიღო შამილი 1859 წელს.

ალ. ივ.—ისვენებს ქვაზე. მან იცის ამ ქვის ისტორია (მთიელთა სახლში მიეცი ზისერმანის ბროშურა გუნიბის აღებაზე. საერთოდ ლიტერატურა მე თან მქონდა დაღისტანში)

აღმართმა დაღალა ალექსანდრე ივანესძე, ის ჩამსუქებული კაცია და ხვნეშის.

*) ზოგ ტურისტს თან დააქვს დიდი ფუნჯი და სითხე კოლოფებით. ისინი დარიალის ხეობაშიაც ეწევიან მწერლობას.

პატარა დასვენების შემდეგ წინ მივიწიეთ.

მდინარე გუნიბის კალაპოტი ღრმა ხეობას წარმოადგენს. ხეობის ზემოდ გზა ფერმისაკენ მიემართება. აგერ ფერმაც!

ფერმის ახლო, ბოძთან ძევს რკინის დიდი დაფა, რომელიც რევოლუციის წლებში აუხსნიათ ქვითკირის იმ ბურჯებიდან, რომელიც ჩვენ უკან დავტოვეთ. რკინის დაფას ლურჯი ფერი გადაკრავს. მასზე ძველი ორთოგრაფიით ამოყვანილია შემდეგი წარწერა:

На сем камне
возседал
Генерал-фельдмаршал
Князь Барятинский
принимая плененного
Шамиля
в 1859 году 25 автуста

დაფა მძიმეა. მას ერთი კაცი ვერ ზიდავს. როცა თითით ეხები—ყრუ გამოძახილი აქვს.

## 5. აული გუნიბი. მალხაზ-მაზოგა.

აული გუნიბი. მას ძალიან პატარა სივრცე უჭირავს. ამჟამად ნანგრევებიღაა დარჩენილი.

აქ იყო ჩაკეტილი შამილი უკანასკნელად. ამ აულიდან გამოდიოდა ის სასოწარკვეთილების წუთებში და მიდიოდა მახლობელ მაღლობებზე თავისი ნამაზის შესასრულებლად.

ნანგრევის შერჩენილ კედელს ხელი შევახე. ქვა გადმოვარდა. (რუსის ჯარმა გუნიბის აღების მეორე დღესვე მისცა ცეცხლს აული).

აულის ზემოდ დაცულია ორსართულიანი სახლი (პირველი სართული ნახევრად მიწაშია), ქვედა გუნიბის



აული კაზირ-ყუმუხი (მახაჩ-კალა ბუინაკსკის რკინის გზაზე)

მცხოვრებთა სიტყვით—შამილის სახლ ი.

სიცალიერე და მტვერი. ოთახებში ულმისავლური, ნახაზი ორნამენტე-ბი, ძალიან უბრალო.

უკანასკნელი ოთახის ფანჯრებს და რაბებიც აქვს: შიგვილაც ცხოვრობს.

ჩვენი ფეხის ხმამ თუ გამოარკვია, შიგმყოფი—მოხმა ხველა. მალე თვითონაც გამოჩნდა —ბრგემოყვანი ლოზის მამაკაცი, შავგრემანი სახით ხშირი ულვაშებით.

გავაცანით ჩვენი სურვილი აულის მიდამოების დათვალიერებისა.

მასპინძელმა ბოლზე მიგვიწვია. ქვე ბზე ჩამოვსხედით. მან პაპიროსს მოუკიდა.

— თქვენ საიდან ხართ?—ეკითხება ის ალ. ივ.-ძეს.

—რუსეთიდან!—მიუგო ალ. ივანეს ძემ.

—ჰაა...—არ გაუკვირდებია, ეტყობა ასეთებს ხშირად ხედავს. აბოლებს პაპიროსს.

—თქვენც?—ახლა მე მეკითხება და პაპიროსი პირიდან გამოაქვს.

—არა, მე საქართველოდან! —ვუპასუხე.

მირეულად ვერ გაიგო—რუსული ცუდათ იცის და უფრო ცუდათ ლაპარაკობს. შემდეგ ცოტად გაოცებულმა გაიმეორა:

—გურჯისტანიდან? გურჯი?

თავის ქნევით ვუმოწმებ.

—თქვენი სახელი?—ახლა ჩვენ ვეკითხებით.

—მალხაზ მაგომა.

(უნდა ეთქვა: მალხაზ მაჰმადი, რუსულის ზეგავლენა მაინც ეტყობა), საუბარში გავერთეთ. ბოხი ხმით ჰყვება დაღისტნის წარსულზე.

ნაფაზი თხრობისას მზის სინათლეზე ირკალება და როცა ნიავი ქრის—ბოლი სახეზე ეფინება.

პაპიროსს ორ თითში გაიჭყლეტს და ბოლზე უჩვენებს:

—აქ, ჩვენ რომ ვზივართ, შამილის საპატიმრო იყო... შამილ მეტყვევებს ჰყრიდა... (ხანდახანობით ლაპარაკობს და როცა სიტყვები არ ჰყოფნის — ჟესტებს იშველიებს).

ჩვენ ვაკვირდებით ბოლს და მხოლოდ ახლა ვამჩნევთ: აქა-იქ ვიწრო, ბნელ და მიწურ სარკმლებს.

—ბევრი კარგი გურჯი და რუსი ყოფილა ამ ორმოში...,—ღიმილით ამბობს მალხაზ მაგომა. შემდეგ ადგა, ახლო მდებარე მოზრდილი ლოდი გადააგორა და მიწის ხვრელს ჩაგვახედა. ხვრელში ერთი კაცი გაეტეოდა.—ამ ხვრელით შამილი ტყვეებს შიგ ორმოში აგდებდა, ქვას კი ზედა ხურავდა... (მალხაზ მაგომამ ქვა თავის ადგილას დადო. ჩვენ ძველ ადგილს დავუბრუნდით).— ორმოში სამი დღე, მხოლოდ სამი დღე თუ გაძლებს კაცი... მერე ავად ხდება. პაერზე უნდა გამოიყვანო...—ის თითით გვიჩვენებს რიცხვს.

ცოტახნით ჩუმდება. საკმაოდ ბევრი მოგვითხრო. ბევრი აგვიხსნა. შემდეგ — როცა პაპიროსის მოწევას დაათავებს და ხელს მუხლზე ჩამოიდებს — ხმა მაღლა ამბობს:

— ახლა ის დრო არ არის!.... დრო გამოიცვალა... გურჯები, ურუსები და ჩვენ - ძმები ვართ!

ალ. ივ.-ძე წამოდგა. ჩვენ ვემშვიდობებით. ხვალ მალხაზ მაგომა ქვედა გუნიბში ჩამოვა და ცხენიან მეგზურს მოიყვანს: ზემო გუნიბის მთლიანად დათვალიერებისათვის და „გუნიბის მუქურამდე“ *) მგზავრობისათვის ცხენი აუცილებელია. ვატყობ, კიდევ რამდენიმე დღე დავრჩები აქ. (გუნიბიდან გერგებილში წავედი 17 აგვისტოს მხოლოდ).

ვბრუნდებით. „ბარიატინსკის ქვიდან ხელმეორედ ვათვალიერებთ აულის ნანგრევებს.

ხვალ ისევ მოვალ აქ. მაშ რატომ ვიხედები უკან?

აულის ნანგრევები და სახლი—შამილის...

ამ სახლში ახლა მალხაზ მაგომა ცხოვრობს.

მალხაზ მაგომა! შენ მართალი ხარ. სხვა დროა! დრო იცვლება!

**1932 *).**

---

*) გასული წლის აგვისტოს ჩვენ ვიმგზავრეთ დაღისტანში. საქ. სამხედრო გზით 6-ს ჩავედით ქ. ორჯონიკიძეში, იქიდან კი, 7-ს, ქ. გროზნაში. ჩეჩნეთის აულების — შალი და ვედენოს — გავლით ვფიქრობდი მოგხვედრილიყავ ცენტრალურ დაღისტანში. (გუნიბ - ხუნძახი). მეგზურის უყოლობამ ეს მარშრუტი შემაცვლევინა და იძულებული შევიქენი 11 აგვისტოს მახაჩკალაში (ყოფ. პეტროვსკი) ჩავსულიყავ. მახაჩკალიდან მეორე დღეს მატარებლით ჩავედი ბუინაკსში (ყოფ. თემირხანშურა), საიდანაც 13 აგვისტოს ავტომობილით ვიმგზავრე გუნიბამდე (აულ ლევაშის, ხოჯალმახის და ყარადახის ხეობის გზით). ეს ნაკვეთი (2) ამოღებულია სამგზავრო დღიურიდან და შეიცავს მარტო გუნიბის აღწერას. ქ. გროზნის, მახაჩკალასი (სადაც ჩვენ დავათვალიერეთ საინტერესო ისტორიული მუზეუმი, რომელშიაც წარმოდგენილია დაღისტანის წარსული) ქ. ბუინაკსისა, გერგებილისა და სხვა დიდი აულების აღწერა მოცემულია მთლიანად ნარკვევში: „მთების ქვეყანაში“.

ა. ვ.





# სურვილის ორღობე

## გიორგი შატბერაშვილი

ორღობეში შეხვდნენ ერთმანეთს. უხმოდ ახედა მოხუცმა ფოთოლამ შვილს. მამის თვალებში რისხვა და ბოღმა ჩრდილივით ჩამდგარიყო...

ბაგე უცახცახებდა, სიტყვებს ეძებდა. ბოლოს შავი, ტლანქი ხელი ჰაერში აიმართა და ახალგაზრდა ბიჭს მჭახე ხმით მიაძახა:

— მექანარევ, ვერ ამიყოლიებ... უბრალოდ ტორტიალობ კოლექტივის ბიჭებთან, არ შევალ! უწინ მკლავი მომტყდეს და მარჯვენა გამიხმეს... შენ კი, თუ არ დაგიშლია გზა დიდია, დამშლელს ენა გაუხმეს!....

მიახალა და გაშმაგებულ შვილს ზურგი უჩვენა. გატრიალდა და ბარბაცით შარაზე გაიბიჯა. მექანარე თავჩაღუნული იდგა შუა გზაზე...იფნის საბრე რამდენჯერმე მოუსვა მიწას, თავი მაღლა ასწია და მოხუცის მხრებს გაადევნა:

— თუ არ შემოხვალ და მაშ გავიყაროთ!

ფოთოლა ზარდაცემულივით შეჩერდა. ღობეს მიეყრდნო, გადმოხნექილ მარგილს ხელი ჩაავლო და აცახცახებულ შვილს სახეში მღვრიე თვალებით შემოხედა.. აათვალიერა, ეუცხოვა მისი ქედის სიმაღლე... უცბად შეძრწუნდა, თითქო თვალწინ ნაპრალი ჩაეხა... შემდეგ ხელი ჩაიქნია, ღობეს მოშორდა და გზა გააგრძელა..... მხრები უცახცახებდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიდუდუნებდა მრისხანე სიტყვებს:

— გამეყარე... გამშორდი, ჯანდაბამდისაც გქონია გზა.....გამეყარე და აღარ დამენახო, ჩემ მიდამოზე გაწყდეს შენი გასაგისი!.

მოხუცის რისხვამ შეაშფოთა მექანარე, დგას და გასცქერის სოფელს.... ფოთოლა მიტორტმანებს, სტოვებს შუა გზაზე გაჩერებულ ახალგაზრდა, შვილთავს და უკან მიუხედავად უხვევს ორღობიდან...

შუა გზაზე დგას მექანარე ბიჭი და ბნეულ მგზავრივით ფიქრობს.... მოხუცი მამა სხვა გზით წავიდა, მექანარე კი იმ ბიჭებს აჰყვა, კოლექტიველ ბიჭებს.... ის ბიჭები თითქოს მთიდან შემოსცქერიან ორღობეში გაჩერებულ ახალგაზრდას... ამხნევებენ, მოუწოდებენ.... !

მექანარე ბრუნდება და თავქვე ორღობეზე ეშვება ჩქარი ნაბიჯით. წინ მზე და სინათლეა, უკან კი იქით — საითაც მოხუცი ფოთოლა დარჩა—ბინდია ჩამოშვებული, სიბნელეა....

●

ვიწრო ორღობეზე დაუხვდა. ხალხის „სურვილის ორღობე"-ს ეძახის. ნეტავ რისთვის?... ვინ რა ისურვა?...

ნეტავ შეუსრულდა გულის ნატრული?!...

უცებ, საიდანღაც ბარდიანით ლელა ჩნდება: მისი თვალები მექანარეს თვალებს ეფეთებიან და იხრებიან.. თვალებს წამწამების ჩერო ჩრდილავს... შემკრთალი ლელა ღობესთან ჩერდება, იმშვენება, თავს ხრის

— გოგოვ, სად მიხვალ?...

ლელა მორცხვათ იღიმება და გზას ეძებს...

— რამ შეგაშინა გოგოვ, დაიცა, რა გეჩქარება?!..

— გამიშვი... საქმეზე მივალ... სოფლის ბოლოს, კოლექტივის ბოსტანში სამარგლი გვაქვს, იქ მივალ.. გამიშვი მექანარევ!...

— დაიცა ლელავ...რაღაც გითხრა! მეც შემოვდივარ კოლექტივში, დღეს ყველაფერი გავათავე მამაჩემთან. თქვენთან მოვალ... ჰა, რას იტყვი გოგოვ?!

ლელა სიხარულით ილეწება. სარეს ალმური ედის, უხარია...

— შენც გიხარიან ლელავ, შენც!. იძახის მექანარე და ლელასაკენ იწევს... აშკარად გრძნობს მის მხურვალე სუნთქვას. ქალი ღობეს ეკვრის, ილანძება და მისი წერწეტა ტანი ასკილის სალამურივით ტყდება ვაჟის ღონიერ მკლავებზე...

მექანარე ჩასცქერის ლელას ცისფერ თვალებში და ალერსით ჩასჩურჩულებს:

— შენც ხომ გიხარია, ლელავ მე რომ შემოვდივარ!... სხვებსაც გაუხარდებათ, იმ ბიჭებს ვენაცვალე რა ბიჭები არიან!..

უცებ შორეული ხმაური ჩაიქროლებს ორღობეში. ლელა კრთება. კისკისით უსხლტება მექანარეს მკლავებს და ღობეებს ეფარება. სახტად სტოვებს ვაჟს და მიაჩქამებს სურვილის ორღობეს.

მისი შიშველი, მზე დაკრული და ხორბლისფერი კანჭები ფოთლების შრიალში ანაზდად ქრებიან....

ბედნიერია ეხლა მექანარე. მიაბიჯებს ვიწრო ორღობეში. მიდის, სტოვებს უკან სიმწუხარეს. ესმის კოლექტიველ ტოლბიჭების ჟრიამული.

დღეს დილით, ორღობეში—ჰალიგალად, თავის დაჭმუჭკების მანძილზე შეეჭიდა მრისხანე მამას. ეხლა კი მოთრთოლვარე მკლავებზე გაცეპტება ლელას ლერწამი ტანი.

მიდის მიუხარია... ღიღინებს: „სურვილისა ორღობეო"!...

●

საღამოს ბინდი ჩაიხვა ვენახებში.. მწყემსებს ნახირი მოუდით და ორღობეებს ახმიანებენ. ეზოში მწვანე ბალახებზე გართხმულა მექანარე....გულაღმა წევს და დაჟინებული თვალებით ცას შესცქერის...

ეზოში დედა დადის, საქონელს აბინავებს, იხრავს და ისევ საქმიანობს. გრძნობს მექანარე დედის ოხვრის მიზეზს, იცის მისი სევდა საიდან მომდინარეობს; მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ ვერაფერს ვერ მოაშორებს, ვერ დააშრობს ამ წყაროს.

შესცქერის ცას და ესმის დედის ოხვრა....ეს მოხრილი დედაკაცი, თითქოს ემუდარება მექანარეს დაბრუნებას; მამა კი ზურგშექცეულია, ზვიადობს და სახეშიც აღარ უყურებს...

დედა უახლოვდება მექანარეს... ალბათ ველარ გაუძლო ეზოში ცაეშინაან ბორიალს. უახლოვდება შვილს, უჯდება თავით და გახურებულ შუბლზე თავის ცივ, გამხდარ ხელს ადებს...

თითქოს ნაჯახის ცივი პირი შეეხო შუბლზე; ტანში ჟრჟოლა ურბენს, თვალებს უფრო ფართოდ ახელს და შესცქერის მწუხარე დედას.

— რა იყო დედავ, რამ დაგაღონა?...

— შენი ჯავრით შვილო გული მეწურება, მიწუხს... განა შეიძლება მამა-შვილში ასეთი ამბავი, სად

# ადამიანური

## 2. როდესაც თავდება ზამთარი

ლექსი—**ნიკოლო მიწიშვილი**

მე უშუშობა მჩაგრავდა ძლიერ,
მავიწროებდა ზამთარში ყინვა.
როგორც ეტყობა, ეგ ჭირიც ვძლიე
და გავატანე თან გულის გმინვა.

ზამთარი იყო ცივი და გრძელი,
სიცივეებში ხმებოდა რითმა.
რითმას თიბავდა კრიტიკის ცელი,
მან კრიტიკულად მატკინა წელი
და გადამთელა ბელტრა რიტმა.

მე კი მინდოდა წერა სულ კარგზე,
მაღალზე, გმირზე, აღმაფრენაზე.
ეგ ზამთარი კი, მომდგარი კარზე,
მელაპარაკებს სულ სხვა ენაზე:

მართალი არის—მიდის შენი ახალგაზრდობა,
ისიც სწორეა—შეგაწუხა მრავალმა წყენამ,
გისუსტა გულმა, გულა დობის ალში ნაწრთობმა
და ქორის თვალიც დაგიბინდა გრიგალთა ქშენამ.

მაგრამ გაუძელ, ეგ ხვეული გზაც გადიარე
და ახალ საქმეს მიეც ძალა, ტვინი, სხეული.
ყოველ ბრძოლაში გამარჯვება იმათი არის,
ვინც არ ასწონა ოფლი თვისი, ძირს დანთხეული.

შენი ბავშვები, სიცივეში რომ ახველებენ,
მშრომელთ ქვეყანას ნორჩი გულით შეეზრდებიან,
შენს ხსოვნას დროშად აღმართავენ მათი ხელები,
თუ დაუროვებ ფიქრს და საქმეს მაღალ-ფრთებიანს.

შენი ფიქრი კი—ახალ ჩარხზე ილესებოდა,
შენი ოცნება წინ უსწრებდა დღევანდელს მუდამ,
შენც იქ იბრძოდი, სადაც ძველი ილეწებოდა,
მაშ, რაღ შეგაკრთო მწარე სიტყვით გატენილ გუდამ.

გასწი, იარე, ახალ ცეცხლში გამოიხარშე,
პოეტის ტვირთი ეპოქაში ატარე მძიმე
და მაშინაც კი არ შესწყვიტო გმირული მარში,
ერთის მეტი რომ აღარ დარჩეს მაგ ჩანგზე სიმი.

და გაბრწყინდება შენი შუბლი მწვერვალზე მაშინ,
გაქრება წყენა, დაბრკოლება, ტკენა მრავალი,
აგუგუნდება საუკუნე ყოველ შენს თქმაში,
როგორც სიცოცხლე, როგორც სხივი ამომავალი.

ნ.—4.—932.

---

გონილა, რას იტყვიან?... მტერი დაგვცინებს, გაიხარებს!

— რაზე დედა, რა მოხდა?!

— ოჯახს რათ აქცევთ შვილო, დედაბოძს რათ აცლით, რა გაქვთ საჩივარი!? რათ იყრებით?...

თითქოს მტკივნეულ ადგილზე დაადვეს ხელი, თითქოს ქიდილში გაიწვიეს მექანარე....

— ოჯახიო? მერე და განა ისეთი ოჯახი, სადაც შუღლი და უთანხმოებაა, არ უნდა დაინგრეს... განა ისეთი ოჯახები არ უნდა დაემხონ, რომ ახალი ოჯახები შევქმნათ, საოცნებო და სანატრელი?!.. მე კოლექტივში შევდივარ დედი, წინ ნუ მიდგებით... ნუ მიშლით!

დედის ხელი სწრაფად შორდება მექანარეს გახურებულ შუბლს!, მისი მოხრილი მხრები იმართებიან, და ისმის სევდიანი **ხმა:**

— მერე და ამ თქვენ **საქმეს**, ამ თქვენ კოლექტივს ნაყოფი, რომ არ ექნეს, უროწანი ფურივით, რომ ჩამომხმარა....ნაყოფს არ გაძლევთ.. ნაყოფს!

— დედავ, გინახავს გაზაფხულის პირზე აყვავებული ხეხილის ბაღი?... ატმის ყვავილები, კვირტებ გამჯდარი, მტირალი ვაზი!—გჯერა, რომ იმედიანი თვალით შესცქერის?.... ჯანსა და სისხლს აწვეთებს ყამირს, მაინც ყლორტებს აცლის, მიწას ჩაჰლილინებს და მოსავალს იმედით გასცქერებს, სწორედ ეს იმედიანი თვალი და გამარჯვების ფარჯვენა გვამოძრავებს, წინ გვახედებს!

გამარჯვებული თვალებით შესცქერის მექანარე დედას... აჯერებს, უმტკიცებს....მაგრამ მოხრილი მხრები კვლავ **იმართებიან და** სივრცე ირხევა:

— სწორედ ეგ იმედიანი თვალი აღარა გაქვთ, დაგიკარგავთ...თქვენ ხომ გმირებს გეძახიან, მაგრამ გმირს თუ თვალში იმედი არ **უბრწყინავს ისე ვერ გაიმარჯვებს.... თქვენ კი ის თვალი არა გაქვთ!**

— გვაქვს დედი!

— თითო ოროლას შვილო!—კვნესის დედა....

— ხვალე ათასს ჩაუდგება თვალში ის იმედის ნაპერწკალი!

იმედით გაიძახის მექანარე და სევდიანი თვალებით გასცქერის სივრცეს.

ეზოში ფოთოლა შემოდის წკმუილით ათვალიერებს დედაშვილს და მოფერებით დერეფანში გაჩორკნილ კუნძზე ჯდება.... დედაც დგება და ოხვრით სტოვებს მოლზე გარინდულ მექანარეს... თვალებში სევდა და ცრემლი უციმციმებს ვარსკვლავის შუქივით...

ღამდება. ცა ვარსკვლავებით იჭედება. კაშკაშა ნამგალა მთვარე, ვეფხვის კლანჭივით ეკიდება ცას...

დედა კი მაინც ბორიალობს ეზოში... ვეღარცას უხმობს!, ბარბაცებს, და მექანარეს ესმის მისი გრძელი კაეშნიანი ოხვრა..

ხვალიდან მექანარე სხვა სიცოცხლეს დაიწყებს, წავა ფოთოლას შერამისეულ სახლიდან და ახალ გზას დაადგება.

შესცქერის მთვარეს და ეს მთვარე თითქოს აშუქებს მის ოცნებას. ახალ ცხოვრების ჯერ ბუნდოვან გზას.... ბუნდოვანია მექანარესათვის ეს გზა, მაგრამ მიმზიდველია, იწვევს და იმორჩილებს.

ამ შარა-გზაზე ანაზდათ თითქოს ლილაც გამოდის წინარებივ ლანდალივით და მანდილს უქნევს მექანარეს შორიდან....

მაგრამ, აი კარის ჭრიალი ისმის.

ჭრაქით გაშუქებულ ოთახიდან გამოდის დედა და ყრუ ხმით იძახის:

— ბიჭო მექანარევ!.. აბა მინდ რაღას აკეთებ!?, შუაღამეა, ძილის დროა!

მექანარე დგება და ღიად დარჩენილ კარამდე ბარბაცით მიდის... ნაოცნებარი თვალებს იფშვნეტს და ზღურბლზე უხერხულად ჩერდება...

ეს ხომ უკანასკნელი ღამეა ფოთოლას ჭერქვეშ!

# ბრინჯაოს მხედარი

### ა. პუშკინი



## 1833

### შესავალი

წყალთა ნაპირს—ქანდაკის მსგავსა
ის იდგა, დიად ფიქრებით სავსე,
და ველს გასცქეროდა ზვირთთა გროვებით
რბოდა მდინარე; ტალღების თავზე
მოსჩანდა ნავი განმარტოვებით.
ნაპირებს, მოცულთ ხავსის ნოხებით,
აქა-იქ ჰქონდა შავად ქოხები—
ჩუხონელთ ბუდე—ველურ მხარეში.
და ტყე-ჭაობით განაპირები—
ნისლში დაფარულ სხივთა გარეშე—
შეფუობდა ირგვლივ.
ფიქრობდა იგი:
—აქედან მედგრად შევუტევთ შვედებს,
და—ქანქალებდეს მტერი სასტიკი—
აქ ამოვიყვანთ ქალაქის კედლებს.
თვითონ ბუნებამ აქ ალიარა,
რომ ევროპისკენ გავჭრათ ფანჯარა;
ზღვის პირს დავეყრდნობით მაგარი ფეხით.
ახალ ტალღების კვალით უცხოთ
ჩვენ გვესტუმრება ფლაგთა კრებული,
და ვიზეიმებთ გალაღებული,
ას წელს განვლო. ნორჩი ქალაქი—
ჩრდილო ქვეყნების უცხო მშვენება,
იქ, სადაც იყო ჭაობთ ალაგი,
აზიდულია ამაყ ჩვენებათ.
სადაც ფინელი მეთევზე წინად—
მწარი ბუნების გერი საწყალი,
დაბალ, ხავსიან ნაპირთა შინა
ისროდა ბადეს ტალღებში მკრთალი,
სადაც სუფევდა უდაბურ მწირი,
სჩანს ნაპირების სივრცეზე ხშირი
სასახლეების, კოშკების რიგი,
მწყობრ გიგანტების რკალი სასტიკი.
მოჭრის ტალღებზე გემი მრავალი—
ყოველი მხრიდან აქ მომავალი,
რომ ნავთსადგურთა იგემონ წყალი,
შემოსილია გრანიტით ნევა,
და წყლებს ხიდები ყველგან ემჩნევა.
ნევის კუნძულნი მწვანე ბაღებით
არიან ყველგან განაჩალები.
უმცროს სატახტოს წინაშე თავი
მოხუც მოსკოვმა დაჰხარა ზავით,
ვით ნორჩ დედოფლის წინაშე მკრთალმა
პეირფეიროსანმა ქვრივ დედოფალმა.
პეტრეს ქმნილებავ! მე მიყვარს შენი
მედიდურობით სავსე იერი,
ნევა, მეფური და მძლავრი დენით,
ნაპირთ გრანიტი პირმშვენიერი;
შენი გალავნის თუჯი ქსოვილი,
შენს მოდუნებულ ღამეთა სვლაში
სინათლე—არა მთვარით თოვილი,
როცა ვკითხულობ მე ჩემს ოთახში
და ვწერ ულამპოთ. როგორც ლანდები
სჩანან ქუჩების ყრუ გიგანტები.
იოგელივ სიჩუმე, ნათელი არის
საამირალოს დიდი ისარი.
ცისკარი ცისკარს ცვლის მოკამკამეს,
არ უშვებს წყვდიადს ოქროსფერ ცაზე,
ნახევარ საათს ის უთმობს ღამეს,
რომ კვლავ გამოჩნდეს დრუბელთა გზაზე.
მე მიყვარს შენი მკაცრი ზამთარი,
შენი ყინვები, ჰაერი, ჩრდილი,
ნევის ნაპირას მარხილთა ჩქარი.
და ქალწულთ სახე ვარდისფრად შლილი!
მიყვარს ხმაური მბრწყინავ ბალების,
და უცოლოთა ქეიფი მალი,
როცა სდუღს ჭიქა აშხრიალებით,
და იწვის პუნშის ცისფერი ალი.
მარსის მინდვრებზე ჰხიბლავს ოცნებას
სამხედრო ძალთა მხედრობა მარდი,
ქვეითა ჯარის და ცხენოსნების
ერთფეროვანი შნო და ნავარდი;
მწყობრად დარხეულ ლაშქართ წყებაში,
ნაზრძოლ, დაფლეთილ დროშათ ფრიალი
სპილენძიანი ქუდთა კრთალი,
რომ დაცხრილულან ომების ჟამში!
მიყვარს, სატახტო ქალაქო შენი
ციხე-სიმაგრის გრგვინვა და ალი,
როს მეფის ოჯახს, ალსავსეს ლხენით,
შესძენს საჩუქრად ვაჟს დედოფალი,
ან თავის მტრების დამძლევის გამო
რუსეთს ზეიმი აქვს გამარჯვებულს,
ან სტეხავს ნევა ყინულთა კრებულს.
და მიაქვს იგი ზღვისკენ—აგზნებულს
მით, რომ ზამთრული მოდის სიამო.
პეტრეს ქალაქო! იყავ დიდებით,
როგორც რუსეთი მძლავრი, რჩეული,
და შენთან ერთად აწ დამშვიდებით
დაცხრეს სტიქია—უკვე ძლეული.
და, დაივიწყონ მტრობა, გოდება
ფინურ ტალღებმა. გათავდეს დავა!
ამაო არის ურჩობა კვლავად,
და პეტრეს ძილის აწ შეშფოთება!
დრო იყო ავი და საგანგებო,
ბევრში მეტყველებს იმ დღეთა გრძნობა...
მინდა გიამბოთ, ამხანაგებო,
თქვენ სევდიანი ჩემი მოთხრობა!

### ნაწილი პირველი

ნოემბრის სუსხით ზეცა ზრიალებს,
პირქუშ პეტროგრადს თავს დასტრიალებს.
ნევა როგორც რომ კაცი სნეული
თავის საწოლში ბორგავს, მძვინვარებს,
და მისი ტალღა ბრაზმორეული
ისევ ასკდება გალავნის კარებს.
გვიანღა იყო. ღამე დგებოდა
წვიმა ფანჯარას ეხეთქებოდა.
ღმუოდა ქარი—სიბრაზით, წყენით.
ამ დროს დაბრუნდა სახლში ევგენი.
მაშ ჩვენ დავარქვათ გმირს ეს სახელი,
კარგია მისი გამოძახილი,
მას შეეჩვია ჩემი კალამი.
და ეგებება ძველი სალამით.
ჩვენ არ გვჭირდება იმისი გვარი,
თუმც წარსულ დროთა წარსულ არეში
ის იყო მძლავრი და მოთარეში,
მტერს არა ერთხელ დაუცა თავზარი;
ის კარამზინის იცნო თხზულებამ,
ვით ჩვენი ქვეყნის დიდი თქმულება.
დღეს კი ეს გვარი, წინად ქებული,
არის ყველასგან დავიწყებული.



კოლომნაში აქვს ჩვენს გმირსა ბინა,
ის სამსახურში სწევს მუშაობას,
გაურბის იმას, რაც იყო წინად,
არ გლოვობს მკვდართა ხათესაობას,

და არც გარდასულ დროთა ყივილს.
როცა ევგენი სახლში დაბრუნდა,
მან გაიხადა თავის მაზარა.
მას ძაძინება ძლიერად უნდა,
მაგრამ სიმშვიდე რომ შეაზარა?
რაზედ ფიქრობდა იგი დავრდომით?
რომ ის ღარიბი იყო და შრომით
უნდა ეპოვნა თავის ადგილი,

პატიოსნება, სახელი ტკბილი,
რომ ღმერთს შეეძლო მისთვის მიეცა
მეტი ფული და ჭკუა, რომ ზეცა
ხოლო ბედნიერებს წყალობს ყოველთვის,
რომ მას სიამე სოფლისა ელტვის,
რომ მისი ყოფა მეტად ძნელია,
რომ ის მსახურობს სამი წელია;
კიდევ ფიქრობდა, რომ ეს ავდარი
ალარ ცხრებოდა, მდინარე ჩქარი
სულ მატულობდა. ალბად ხიდები
მოხსნეს—ნევაზე დანაკიდები,

რომ ქარაშხალი კვლავ ივალაღებს,
რომ ის პარაშას ვერ ნახავს მალე.

ის დაფრიალდა ფიქრთა ჯარაში.
და ოცნებობდა იგი მწუხარედ:
—არ ქროდეს ქარი ესოდენ მწარედ,
წვიმა არ სცემდეს ბნელ ფანჯარაში!
ბოლოს თვალები

იმან დახუჭა განაწვალებმა.
ავდრიან ღამის წყვდიადი ქრება,
დღე გაფითრებულ ნისლად იშლება,
საშინელი დღე!
ნევა მთელ ღამით

გარბოდა ზღვისკენ, მაგრამ გრიგალი
მას არ უშვებდა შეურიგალი,

და მოიქანცა ნევა თამამი.
მის ნაპირებზე მეორე დილით
გამოჩნდა ხალხი—სწრაფ თავმოყრილი.
წყლებს გახელებულს უცქეროდა ყველა.
სცვლის ტალღას ტალღა ვეებერთელა.

მაგრამ უბედან ქარის სეტებით
გადაღობილი ნევა სიმაღლით
უკან იხევდა დანაფეთები.
და ის კუნძულებს ფარავდა წყალით.

(გაგრძელება იქნება)

თარგმანი:
ვალ. გაფრინდაშვილისა.

# არსენას ტიპი ქართულ მწერლობაში*)

ს. ხუნდაძე

## 3

მხატვრულ ლიტერატურაში არსენას სახელი და მისი სახე პირველად ი. ჭავჭავაძემ შეიტანა. როგორც ცნობილია ი. ჭავჭავაძემ ყაჩაღათ გაჭრილ გლეხის ტიპის დახატვას დიდი ადგილი დაუთმო 60-იანი წლების თავის ნაწერებში. კაკო, ზაქრო (პოემა „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“) და გაბო („გლახის ნაამბობი“), ბატონყმობის ეპოქის შვილები იყვნენ. ეს ტიპები გაცხარებულ წოდებრივ ბრძოლის პერიოდში წარმოიშვნენ, როდესაც შევიწროვებული გლეხი იბრძოდა თავისი პირადი თავისუფლებისათვის არ შეიძლებოდა არსენას და მის თავგადასავალს თავისებური გავლენა არ მოეხდინა ი. ჭავჭავაძეზე გლეხი ყაჩაღი—ტიპების შექმნის დროს. ამ გარემოებაზე უკვე მიუთითებდა ამხ. მალაქია ტოროშელიძე. არა მარტო „არსენას ლექსის“ შეიძლო გავლენა მოეხდინა მწერლობაზე, არამედ თვით არსენას თავგადასავალსაც, რომლის ცოცხალი ფაქტები ღრმად იჭრებოდა აღბეჭდილი თვით მწერლის მეხსიერებაში. შეიძლება აღინიშნოს, რომ კაკოსა და ზაქროს ტიპები არსენას მიმბაძველობით არის გამოყვანილი: „არსენობა“ არა მარტო მებრძოლ გლეხობისათვის იყო „სანატრელი“, არამედ ლიტერატურულ ტიპების ძარღვშიაც გადაიქცა თავისებურ მიმბაძველობად.

●

მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,
გლეხ-კაცი როგორც ძმა ჰყვარებია,
გლეხ-კაცის ბედი ჭირი და ლხინა
შვილსავით გულით უტარებია.
აბა კაცივა ისა ყოფილა
და ქუდიც იმას, ძმავ, ხურებია,
ნეტავ იმ დედას ვისგანც გაზრდილა
და ვისაც ძუძუ უწოვებია!..
მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს,
ეხლანდელ დედამ ველარ გაზარდოს**).

●

კაკოს ტიპი, პოეტის მიერ გამოყვანილი 60-იან წლებში, ძირითადში არის არსენას განმეორება: იგიც „გამოქცევია უსამართლობას“, „შორს გავარდნილა მისი სახელი“ „მას ყველა აქებს“, მას „უყვარს გლეხ-კაცი და ვინც ბედისგან დაჩაგრულია“. პოეტი გვარწმუნებს, რომ „მისი ამბავი, ახლა მართალი, ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს“.

ისე, როგორც არსენას სახელი იწვევდა გლეხობაში წამბაძველობას, კაკოს საქმიანობა და მისი გმირობა წამახალისებელი გახდა გლეხობისათვის.

●

ჯერ არ მენახე, მაგრამ გიცნობდი,
შენი ცხოვრება მენატრებოდა;
შენთან წამოსვლას ბევრჯერ ვფიქრობდი
მაგრამ სახლ-კარი მენანებოდა.

●

ეუბნება კაკოს ზაქრო. მაგრამ ხალხში კაკოს სახელის გვერდით სცოცხლობდა ზღაპრად გადმოცემული არსენას ამბავი და არსენობა, ხალხის სანატრელ იდეალად იყო გადაქცეული.

●

არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდის, ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.
ეგრეთ გონება ხალისიანი
არსენას ამბით მე მეზრდებოდა
მიყვარდა მე ის კეთილდღეანი
და არსებობა მენატრებოდა.

●

როგორც მკითხველი ხედავს, მთავარ მაგისტრალურ ხაზებში კაკოს ტიპი და არსენას ტიპი არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ცხადია პოეტმა თავისი პოემის ერთ-ერთი გმირის პროფილი არსენას სახის მიხედვით დახატა. უნდა აღინიშნოს, რომ კაკო და არსენა მეტის-მეტად სიმპატიურ ფერადებში არის დახატული, ორივე ეს ტიპი ხალხისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირებია, ორივე სახელმოხვეჭილია თავიანთი „საქმიანობით“, არსენაც და კაკოც „გავარდნით“ ფიქრობდნენ არსებულ წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას, ორივე ისინი ნამდვილი გლეხური ტიპებია.

ამრიგად ი. ჭავჭავაძემ ორივე სახით განავითარა არსენას ტიპი ჩვენს მწერლობაში: ერთი მხრით კაკოს ტიპის დახატვის დროს არსენა წარმოადგენდა მისთვის ერთგვარ პროტოტიპს, მეორე მხრით პოეტმა რამდენიმე ტაეპის შეტანით თავის პოემაში მკვეთრად გამოაქანდაკა არსენას უკვდავი პროფილი.

არ შეიძლება აქ არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თუ კაკოს ტიპის გენეზისი ჩვენ უნდა ვეძიოთ არსენაში თვით კაკო რეალური პიროვნება ყოფილა, რომელიც თვით ავტორსაც შეხვედრია. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს ილ. ჭავჭავაძის მეგობარი და ნათესავი კოტე აფხაზი; თავის მოგონებაში იგი სწერდა:

„რაც შეეხება მის (ჭავჭავაძის) შემოქმედების და მის ნაწარმოებების ისტორიას, მე მხოლოდ „კაკო ყაჩაღის“ შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლდათ ერთი კარდანახელი გლეხი, ვინმე გაუხარიშვილი რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ეაჩნაძეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა კარდანახის ტყეში და გამვლელ-გამომვლელებს სცარცვავდა. ხმა და სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი. ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მოდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი, უცბად ერთ ალვის წინ გადმოსდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მგზავრობის მიზანი, რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხავს ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდოდა ბიჭს, აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აფხაზთან მიდისო.

მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე, რომ როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა ბარბაცობდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთ“. მეორე დილას კი გვიამბო თავისი თავგადასავალი და დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონს სწყევლიდა დაგინებსო*).

ეს საინტერესო მომენტი არის პოეტის შემოქმედების ასახსნელად; მან შეიძლება ჩვენ გასახსნელი მოგვცეს პატარა ლექსისთვის („ნიავო, ჩემო ნიავო“) უნდა ვიფიქროთ, რომ კონკრეტული ფაქტი გაუხარაშვილის გავარდნისა და ტყეში ბატონობისა პოეტს გამოუყენებია თავის შესანიშნავი პოემის სიუჟეტისა და ფაბულისათვის. ხოლო ტიპი კი კაკოს სახე არსენას მიხედვით გამოუქანდაკებია.

აქ აისახა არსენას ტიპის სახე 60-იანი წლებში თავადაზნაურულ ლიბერალის მხატვრულ შემოქმედებაში.

(დასასრული იქნება).

---

*) გაგრძელება. იხ. „დროშა“—№ 12.

**) იხ. „ერთი მოთხრობის დასაწყისი“, „საქართველოს მოამბე“ № 10, გვ. 56,— 1863 წ. დაიბეჭდა აგრეთვე—1864 წ. „ჩონგურში“.

*) იხ. მწერალთა მთაწმინდის მუზეუმში ი. ჭავჭავაძის არქივი.

# გურიისაკენ

ლექსი. - გ. ქუჩიშვილი

ჰა, სადგური
საჯევახო!—
ორთქლმავალი,
შედგა ქშენით;
უცნობთაც კი
მსურს შევძახო:
გამარჯვება,
ძმებო, თქვენი!

ჰა, შარა გზას
ვკეცავ ცხენით,
ნაპერწკლები
სცვივა ნალებს
და გურული
ალმაფრენით
ვესალმები
მთის მწვერვალებს!

აი, წყაროც,
„ბერძნის წყარო“,
ამკარა და
ცივზე—ცივი;
ვეწაფები,
ვსვამ და ვხარობ, --
ვყივი,
როგორც
მთის არწივი!

ჰა, ვეწვიე
ჩოხატაურს,
ვეშურები
ბუკის-ციხეს
და ყურს ვუგდებ
სუფსის ხმაურს,
კალმახებით
მკერდს რომ ირხევს!

ჩუ, სიმღერა!

ნუ თუ ვისმე
ჰყავს სტუმრები
და აქვს ლხინი?
არა, არა!
რასაც ვისმენ
ჰანგებია
სხვა ყიჟინის!

ეს ჰიმნია
ძმური შრომის,
გუგუნია
კოლექტივის:
თითქოს სოფელს
ჰქონდეს ომი,
ყველა იბრძვის,
ყველა ჰკივის, --
ბობოლა კი,
ქვეშ-ქვეშ მძრომი
ხან ღრინავს,
ხან
ბედს შესჩივის!

ჰა, სოფელი
დიდი-ვანიც—
ცხრაას ხუთის
მებრძოლთ ბუდე,
სადაც მთათა
გალავანი
გარს არტყია,
როგორც ზღუდე!

შევდექ.
ვხედავ:
კლდის ნაპრალზე
ჭიდილი აქვთ
ჯიხვს და ირემს,
მათი რქების

დარტყმის ხმაზე
ყურმახვილი
მონადირე
წაადგება
უცებ თავზე,
არ დაინდობს,
სილამაზეს,
ესვრის თოფს და...
მოჰკლავს ირემს...

და ჯიხვი კი,
მოსხლეტილი,
გადეშვება
ღრმა უფსკრულში;
ატირდება
ძმის სიკვდილით
და დასწყევლის
მის მკვლელს გულში.

მეც მომწყდება
ცრემლი თვალზე,
მივანებებ
ჩემს ცხენს თივებს,
ხვალ კი,
რა წამს
მთის მწვერვალზე
ქაშქაშა მზე
გაშლის სხივებს,—
დავეშვები
ისევ ბარად
და შევჩივლებ
კოლექტივებს,
თუ ვით დამჭრა
ჯიხვის დარად
მონადირის
სიგულცივემ...

# ახალი საოპერო კადრები

ვ. ბოკუჩავა

საოპერო ხელოვნების ჩამორჩენილობის შესახებ უკვე საკმაოდ ბევრი ითქვა, არავისთვის არ არის საიდუმლო ის გარემოება, რომ ოპერის თეატრი დღევანდელი სახით არ აკმაყოფილებს მშრომელთა ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნილებებს. ის პრაქტიკა, რომელიც დღემდე არსებობს საოპერო ხელოვნების ფრონტზე ჩვენში, არავითარ შემთხვევაში არ უწყობს ხელს საოპერო ხელოვნების გარდაქმნას, ნამდვილ საბჭოთა საოპერო თეატრის შექმნას, მის დაახლოებას დრამატიულ თეატრების მიერ მიღწეულ დონესთან.

თუ მოსკოვსა და ლენინგრადში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს იმ ნიშნით, რომ შეიქმნას ახალი სტილის, ჩვენ დღევანდელობასთან შეფარდებული საოპერო ხელოვნება და ამ მიმართულებით მრავალი, დიდ სადაო, მაგრამ საინტერესო ცდებია გაკეთებული, საქართველოში უკანასკნელ დრომდე ამ საქმის ძალიან უმნიშვნელო ყურადღება ექცეოდა.

ძირითადი დაწესებულება, რომელიც მოწოდებულია განავითაროს საოპერო ხელოვნება, აიყვანოს ის მაღალ საფეხურზე, აწარმოოს სისტემატიური მუშაობა საოპერო თეატრის გადახალისებისათვის, ისევ კონსერვატორიულობას რჩებოდა დღემდე, იმდენად გაურბის დღესაც ყოველგვარ ექსპერიმენტებს, ისეა დატყვევებული ძველ „სახაზინო თეატრის“ დახავსებულ ტრადიციებით, რომ ის არამც თუ არ უწყობს ხელს თეატრის გარდაქმნას, არამედ იმ ახალგაზრდა ნიჭიერ ძალებსაც კი, რომლებიც მას მოეპოვება, ვერ უქმნის პირობებს შემოქმედებითი ზრდისათვის.

საქ. კონსერვატორიაც თავის მოვალ[ეო]ბას კადრების, მომზადების მხრივ იმდ[ენად] არადამაკმაყოფილებლად ასრულებს, არსებულ მდგომარეობას კიდევ უფ[რო] ართულებს.

მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს საოპ[ერო] ხელოვნების დარგში ერთგვარი გამო[ცოცხ]ლება ეტყობა. ოპერის თეატრის შეკვე[თით] იწერება ახალი ოპერები. **გ. კილაძის** [და] **ა. ბალანჩივაძის ოპერების გამოჩენა, გა**[...]თული განსახკომის ხელოვნებათა სექტ[ორის] და თეატრის მიერ, მოწმობს, რომ „ბ[...]რიონის“ და „არსენა“-ს სახით ჩვენ [...] ვეძლევა მაღალი ღირსების ნაწარმოებ[ები], რომლებიც ქართულ საოპერო ხელოვნ[ებას] ახალ პერსპექტივებს უშლის.

მაგრამ მხოლოდ ახალი რეპერტუარის [შე]ქმნა, რაც უნდა მაღალი ხარისხის [...]

ხეა, მთლიანად ვერ სწვდება საოპერო ხელოვნების სასიონს.

ახალ ოპერების განსხვავების და თუნდაც ძველ კლასიკურ საოპერო მემკვიდრეობის ახალ მიდგომით გამოყენების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა შემსრულებელთა კადრებს.

ამ მხრივ კი მდგომარეობა მაინც და მაინც სახარბიელო არ არის. ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს დებულება, წამოყენებული ამ ათიოდე წლის წინეთ, რომ „მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნება თითქმის პირველყოფილ მდგომარეობაში იმყოფება" სამწუხაროდ, უცვლელს მდგომარეობაში დღესაც ძალაში რჩება.

იშვიათ გამონაკლისის გარდა, კონსერვატორიიდან გამოსულ მომღერალს არავითარი სცენიური კულტურა არ მოეპოვება, ის მხოლოდ გავარჯიშებულ ხმის მქონეა, მაგრამ ამ მასალის გამოყენებაც იმ მიზნით, რომ გამოამჟღავნოს სცენიური სახე, დაიყვანოს იგი მაყურებლამდე, მას არ შეუძლია და ზოგჯერ არც სცდილობს. ამას თავის ამოცანას ასეთი მსახიობი ხედავს იმაში, რომ დაგვანახოს თავის ხმის სიძლიერე და ტემბრი.

ამით აიხსნება ის, რომ მთელი რიგი ახალგაზრდა მომღერლებისა, რომლებსაც აქვთ საკმაო ვოკალური და სცენიური შესაძლებლობანი: ვერ სცილდებიან ოპერის სცენაზე გამეფებულ ტრაფარეტს და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც თეატრს შემთხვევით ესტუმრება ახალი რეჟისორი, მოულოდნელად გაიელვებს რომელიმე მსახიობის მიერ შექმნილი საინტერესო სახე და შემდეგ ისევ იკარგება ჩვეულებრივ უფერულ ყოველდღიურ „შემოქმედებაში".

ამიტომ განსაკუთრებულ სიმწვავით უნდა დაისვას საკითხი ახალ შემსრულებლის, სცენიურ ოსტატობით შეიარაღებულ კულტურულ საოპერო მსახიობის და რეჟისორის შესახებ. მით უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ დარგში ახალ კადრების მომზადების საქმეს.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა სახ. კონსერვატორიის საოპერო კლასის საჩვენებელი წარმოდგენები, რომელიც გაიმართა ოპერის თეატრში 30 მაისსა და 6 ივნისს.

ეს წარმოდგენები საგრძნობლად განირჩევა უკანასკნელ წლებში გამართულ ასეთივე წარმოდგენებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ საოპერო კლასი ფაქტიურად რამოდენიმე თვის განმავლობაში მეცადინეობდა, სერიოზულმა დამოკიდებულებამ, კლასის ხელმძღვანელის—**აკ. ფალავას** საქმისადმი სიყვარულმა, დაუღალავმა ენერგიამ და პედაგოგიურმა რეჟისორულმა მუშაობამ დადებითი ნაყოფი გამოიღო.

შერჩეული საოპერო ნაწყვეტები „ფიგაროს ქორწინება" მოცარტის, „პიკის ქალი", „ევგენი ონეგინი" ჩაიკოვსკის, „სევილიელი დალაქი" როსინის, „დაისი" ფალიაშვილის, „შოთა რუსთაველი" არაყიშვილის იძლეოდა ფართო შესაძლებლობას სტუდენტების უნარისა და შეძენილ ოსტატობის გამომჟღავნებისათვის.

წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდენ, როგორც უკანასკნელ გამოსაშვებ კურსის, აგრეთვე მეოთხე და მესამე კურსის სტუდენტები.

ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ მონაწილეთა დიდი უმრავლესობა მეტად საინტერესო, ძლიერი ხმოვან მასალის მქონეა. პირველ ჯგუფიდან ყურადღებას იპყრობენ ლირიული სოპრანო **ვ. მალკოვა,** დრამატიული სოპრანო **ქ. შათირიშვილი,** ბარიტონი **ს. რუბრიკოვი,** ტენორი **ბექაია.** მეოთხე და მესამე კურსის სტუდენტებიდან



**აკ. ფალავა**

საოპერო კლასის ხელმძღვანელი რეჟისორი

დრამატიული სოპრანო **ე. ხაჩიკიანი,** ლირიული სოპრანო **ვ. ჭყედელიძე,** ბანი **ვ. გოგიჩაძე,** ბარიტონი **დ. გამრეკელი** და **ი. გუგუნავა,** მეცო-სოპრანო **ე. სოხაძე,** ბანი, **გრიგოლაშვილი,** ტენორი **გ. ლომიძე** და სხვ.

შესრულების მხრივ, ადგილი ქონდა ერთგვარ სიჭრელეს. განსაკუთრებული სცენიურობა ეტყობა ჭყედელიძეს, მალკოვას, რუბრიკოვს, შათირიშვილს, გოგიჩაძეს და ბექაიას.

ამ სტუდენტების შესრულებაში არის ცდა ვოკალურ მასალის შეფარდებისა სცენიურ სახესთან. ეს ცდა ბოლომდის არ არის (დაყვანილი, თვით სახეების ტრაქტოვკაც (რამდენადაც ამაზე შეიძლება ლაპარაკი წარმოდგენილ ნაწყვეტების მიხედვით) ყოველთვის სწორად ვერ ჩაითვლება და ზოგჯერ ჩვეულებრივ დაკანონებულ ტრადიციას ვერ სცილდება („ევგენი ონეგინი"). მაგრამ აქ აღსანიშნავია ძირითადათ სწორი ხაზი, რომელიც აღებული აქვს ამ მიმართულებით კონსერვატორიის საოპერო კლასს. ამაშია აკ. ფალავას დამსახურება და შემდგომ მუშაობაში ამან უნდა გამოიღოს სათანადო ნაყოფი.

ამასთან დაკავშირებით ეხლავე უნდა დაისვას საკითხი შესრულების სტილის შესახებ.

მომღერალი პირველ ვოკალურ და სცენიურ გაკვეთილებსაც იღებს ვოკალისტ-პედაგოგებისაგან და აქედანვე უნდა იწყებოდეს მუშაობა შესრულების სტილის გამომუშავებაზე. ეს კი, სამწუხაროდ, იშვიათად ხდება. მთავარი ყურადღება ექცევა ბგერის, ვოკალური „ინსტრუმენტის" დამუშავებას. სიმღერის შინაარსი კი, ვოკალურ ნაწარმოების იდეის გამომჟღავნება ყურადღების გარეშე რჩებიან. ამის შედეგია ის, რომ მომღერალი მღერის უაზროდ, მისი სიმღერა ცივია, რიტორიული და სცენაზე ასეთი მომღერალი ძალა უნებურად მიდის, საოპერო დარგში უკვე გატკეპნილ გზით, ის მექანიკურად ასრულებს რეჟისორის მიერ მოცემულ დავალებას, ხოლო ესტრადაზე ის სრულიად უმწეო და საცოდავია.

ეს გარემოება გვაიძულებს განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი ვოკალურ კადრების მომზადების სისტემას. ის მდიდარი ხმოვანი მასალა, რომელიც ჩვენ სტუდენტებს მოეპოვება, მიზანშეწონილად და ნაყოფიერად უნდა იქნეს გამოყენებული. ამის პასუხისმგებლობა უპირველეს ყოვლისა კონსერვატორიას ეკისრება.

საჩვენებელ წარმოდგენაზე კიდევ ერთი თვალსაჩინო მოვლენა უნდა აღინიშნოს, ეს იყო ახალგაზრდა დირიჟორის **შალვა აზმაიფარაშვილის** გამოსვლა, რომლის დირიჟორობით შესრულებული იქნა ნაწყვეტები ოპერებიდან „შოთა რუსთაველი", „სევილიელი დალაქი" და „დაისი". ორკესტრის სრული დაუფლება, პარტიტურის ზედმიწევნით ცოდნა, სწორად დამუშავებული და მკაფიოთ აქცენტირებული ნიუანსები მოწმობენ შ. აზმაიფარაშვილის, როგორც დირიჟორის, საკმაოდ დიდ **წარმატებას,** რაც მას სრულ უფლებას აძლევს გამოსცადოს თავის თავი სახ. ოპერის თეატრშიც.

ამ რიგად სახ. კონსერვატორიის საჩვენებელ წარმოდგენებმა ჩვენ დაგვანახვეს მთელი რიგი ახალი ძალები, რომლებიც დიდ და სერიოზულ მუშაობის შემდეგ შესძლებენ თვალსაჩინო ადგილი დაიკავონ საოპერო ხელოვნებაში. მაგრამ ამ მუშაობის აუცილებლობა, როგორც მათთვის, აგრეთვე კონსერვატორიის ხელმძღვანელობისათვის ნათელი უნდა იყოს.

შესრულებათა სრ. საკავშირო კონკურსი, რომელმაც მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო, საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება სამხატვრო კადრების მომზადების საქმეს. საკავშირო მთავრობის დადგენილება კონკურსის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ მოითხოვს მეტ მზრუნველობას, მეტ ყურადღებას ამ მნიშვნელოვან დარგისადმი.

საჭიროა აქედან გაკეთებული იქნეს სათანადო დასკვნები.



# რას ჰფარავს ღიმილი

## გარდე

წასული საუკუნის ერთი გამოჩენილი დიპლომატთაგანი ტალეირანი ეკუთვნის სიტყვები: ენა აზრების დასაფარავად არის მოცემული.

მეოცე საუკუნის დიპლომატებისათვის ეს რჩევა მეტ შემთხვევაში უსარგებლო ხდება. წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, კლასობრივი წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შიგნით იმ ზომამდე გამწვავდა, რომ ამ წინააღმდეგობათა სადგისის დამალვა კაპიტალისტურ ტომარაში უფრო და უფრო ძნელი, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, შეუძლებელი ხდება.

უსაშინელესი ეკონომიური კრიზისი, სამხედრო ხარჯებიც და სამხედრო ვალების აუტანელი ტვირთი ახრჩობს კაპიტალისტურ მსოფლიოს, ბურჟუაზიული დიპლომატები ამაოთ ცდილობენ გამონახონ გამოსავალი ჩიხიდან, რომელშიც კაპიტალისტური სისტემა მოექცა.

ზედიზედ იმართება სხვადასხვა კონფერენციები, თათბირები, დიპლომატიური დარბაზობანი და შეხვედრები, ჟენევის სალაყბოში გამოჩენილი ბურჟუაზიული ოქროპირები ერთმანეთს ეჯიბრებიან თავისი ქვეყნების შეურყეველი ერთგულების მტკიცებაში „მშვიდობიანობისა" და „კაცთმოყვარეობისადმი", მაგრამ კაპიტალისტური ურემი ისევ იმავე ადგილზე დგას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი სწორ გზაზე გამოთრევის ყოველგვარი ცდების მიუხედავად, ის უფრო და უფრო მიექანება უფსკრულისაკენ.

იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ერთერთ კვანძს წარმოადგენს ინგლის-ამერიკის ბრძოლა.

ბრიტანეთის იმპერიალიზმი თავისი საგარეო პოლიტიკის გააქტივებით და მთელ რიგ ეკონომიურ ღონისძიებათა გატარებით ლამობს დაიბრუნოს თავისი დაკარგული პოზიციები.

მაკდონალდის სტუმრობას ამერიკაში მიზნად ჰქონდა შეერთებული შტატების დათანხმება ზოგიერთ დათმობებზე, დოლარის და სტერლინგის პარიტეტის დაწესება, ვალების საკითხის მოგვარება და სხვ.

მაკდონალდისა და რუზველტის მომღიმარი სახეების შემხედვარემ შეიძლება იფიქროს, რომ მათი შეხვედრა ორივე მხარისათვის სასურველად დასრულდა, მაგრამ ამ ოფიციალური ღიმილის დანიშნულებაა დაჰფაროს მაკდონალდის მისიის სრული მარცხი, რასაც არ მალავს არც ინგლისის და არც ამერიკის პრესა.



ინგლისის პრემიერი—მაკდონალდისა და ჩ.ა.შ.შ. პრეზიდენტის—რუზველტის შეხვედრა „თეთრ სახლში". შეხვედრა მიზნად ისახავდა მძიმე ეკონომიური კრიზისიდან გამოსავალის გამონახვას და ურთიერთსადმი დათმობაზე მოლაპარაკებას. მიუხედავად ღიმილისა, მიზანი მიუღწეველი დარჩა.

მართალია, მაკდონალდი ლონდონში დაბრუნების შემდეგ შეეცადა შეექმნა შთაბეჭდილება, თითქო ვაშინგტონი მზად არის ითანამშრომლოს ლონდონთან, მაგრამ მისი განცხადებების გამოქვეყნებისთანავე „თეთრმა სახლმა" (ამერიკის პრეზიდენტის რეზიდენცია) ნიადაგი გამოაცალა მაკდონალდის მიერ დათესილ ილუზიებს, უფრო მეტი, მაკდონალდ-რუზველტის შეხვედრის შემდეგ, მსოფლიო ეკონომიური კონფერენციის მზადების პროცესში ინგლის-ამერიკის ეკონომიურმა ბრძოლამ უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო.

თვით ეკონომიურმა კონფერენციამ კი სავსებით ახადა ფარდა ინგლის-ამერიკის შეურიგებელ ანტაგონიზმს. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციის მესვეურები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დაამშვიდონ შიშით შეპყრობილი „საზოგადოებრივი აზრი" ინსპირირებულ ცნობებით—„შესაძლებელი ხდება შეთანხმება", „არის შეთანხმების ნიშნებით" და სხვ. მაგრამ სინამდვილეში ეს სანატრელი შეთანხმება მიუღწეველი ხდება, ვინაიდან შეუძლებელია იმ უამრავ წინააღმდეგობათა შეთანხმება, რომლებიც აშორებენ კაპიტალისტურ ქვეყნებს და კერძოთ ინგლის-ამერიკას.

ლონდონის ეკონომიური კონფერენცია მორიგი ეტაპი იქნება კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავების გზაზე. მისი ერთად-ერთი პრაქტიკული შედეგი იქნება: ეკონომიური ომის შემდგომი გამძაფრება, საბაჟო ბარიერების გაძლიერება, შემდგომი შეჯიბრება შეიარაღებაში, ახალი ომისათვის მზადების გაცხოველება.

# ბიბლიოგრაფია

## ბრუნო იასენსკი: „მე ვწვავ პარიზს" რომანი:—სახელგამი—1933 წ.

ბრუნო იასენსკის ზემოდ დასახელებული რომანი საკმაოდ გახმაურებული და სახელმოხვეჭილი ნაწარმოებია. პოლონეთიდან გაძევებული იასენსკი ამ ნაწარმოების გამოქვეყნების გამო საფრანგეთის მთავრობის განკარგულებით პარიზიდანაც გააძევეს. ამ ნაწარმოებმა დასავლეთ ევროპის პროლეტარულ ლიტერატურაში ღირსეულად დაიკავა საპატიო ადგილი.

რას წარმოადგენს ეს ნაწარმოები, რომ ასეთი დიდი ყურადღება და გამოხმაურება დაიმსახურა მან მტრებისაგან და მოყვარეებისაგანაც?

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ის პირდაპირი პასუხია ცნობილი ფრანგი მწერლის პოლ მორანის რომანზე: „მე ვწვავ მოსკოვს". ეს რომანი შეიცავდა საზიზღარ ჭორსა და ცილისწამებას საბჭოთა კავშირზე, ის უკბილოდ დასცინოდა საბჭოთა კავშირის კულტურას, მწერლობას და კერძოდ მეიერხოლდის თეატრს.

იასენსკიმ ბურჟუაზიის ცბიერობას სწორედ ახადა ფარდა. მან საუცხოოდ და მშვენივრად გვიჩვენა თუ რას წარმოადგენს ბურჟუაზიის „კულტუროსნობა" მათი ბატონობის პირობებში.

იასენსკი კარგად იცნობს საფრანგეთის მუშათა კლასის ცხოვრების პირობებს. მან თვითონვე კარგად იწვნია ეს ცხოვრების პირობები. ის დიდხანს მუშაობდა შავ მუშად პარიზის ერთ მსხვილ საავტომობილო ქარხანაში.

მთელი წიგნი პროლეტარიატის გამარჯვების ღრმა რწმენით არის დაწერილი.

წიგნის ბოლოს დახასიათებულია კონტრ-რევოლიუციონური რუსეთის ემიგრაცია, როგორც ზნეობრივად, ისე მორალურად გახრწნილი და არარაობად ქცეული.

„მე ვწვავ პარიზს" თუმცა ფსიქოლოგიური ნაწარმოებია, მაგრამ ნაწარმოები მოკლებულია ერთეულ გმირებს, ნაწარმოების უმთავრესი მომქმედი პირები — პროლეტარიატი და ბურჟუაზიაა.

წიგნი თავიდან ბოლომდი დიდი ხალისით და ინტერესით იკითხება

ფარი.

## ღმერთი იმპერიალისტების სამსახურში



ინდოეთის სხვადასხვა ტომთა შორის მღელვარება სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობს. ადგილობრივ მკვიდრთა ქონმახებისათვის ჰაერიდან ყუმბარების დაშენამ საქმეს ვერ უშველა. ამიტომ ინგლისის კოლონიალურმა ხელისუფლებამ ტექნიკის უახლოეს მიღწევებს მიმართა: აჯანყებულთა რაიონებში ჰგზავნიან აეროპლანს, რომელზედაც რადიოა დადგმული. აეროპლანზე ათავსებენ ადგილობრივ მცხოვრებს, რომელიც აჯანყებულთა მშობლიურ ენაზე „სახელითა ღმერთისათა" მოუწოდებს მეამბოხეებს დაემორჩილონ თავიანთ მჩაგვრელებს. ორი მძლავრი ხმის გამაძლიერებელი აპარატის გრგვინვის მაგვარი ხმა, რომელიც მოისმის ღრუბლებიდან ზარბაზნებზე უფრო მოქმედობს ბნელ მოსახლეობაზე.

სურათზე:—აეროპლანი, რომელშიაც დადგმულია რადიო სადგური.

## მონობა შეერთ. შტატებში



შეერთებულ შტატებში მონობა ოფიციალურად 70 წ. რაც მოსპობილია. სინამდვილეში კი „დემოკრატ" პლანტატორების მამულებში მომუშავე ზანგები ისეთივე მდგომარეობაში არიან, როგორც იმ დროს, რომელსაც ბიჩერ სტოუ აღწერს თავის „ძია თომას ქოხში". ზანგების მიმართ მიმართავენ წამების უსაშინელეს საშუალებებს.

სურათზე—ახალგაზრდა ზანგი, რომელმაც გრძნობა დაჰკარგა „მოძრაობის წართმევის" წესით წამების დროს. ამ წამების მსხვერპლს ისე უკრავენ ხელ-ფეხს, რომ განძრევა არ შეუძლია და ისე სტოვებენ რამდენიმე საათს.

## სკოტბოროს პატიმრების გადასარჩენად



სასიკვდილო განაჩენმა, რომელიც გამოუტანეს სკოტბოროს ერთ-ერთ პატიმარს, აღშფოთების ახალი ტალღა გამოიწვია. შეერთებულ შტატების ყველა კუთხიდან ვაშინგტონში გაიგზავნა საპროტესტო დეპეშები და რეზოლუციები.
სურათზე—ნიუ-იორკში მცხ. ზანგები ხელს აწერენ რუზველტის სახელზე გასაგზავნ პროტესტზე.

## ამერიკის ფაშისტები ემუქრებიან ზანგ მშრომელებს



NEGROES BEWARE

DO NOT ATTEND COMMUNIST MEETINGS

Paid organizers for the communists are only trying to get negroes in trouble. Alabama is a good place for good negroes to live in, but it is a bad place for negroes who believe in SOCIAL EQUALITY.

The Ku Klux Klan Is Watching You.

TAKE HEED

Tell the communist leaders to leave. Report all communist meetings to the

Ku Klux Klan

Post Office Box 651, Birmingham, Alabama.

ამერიკის ნახევრად ლეგალური ფაშისტურ ორგანიზაციის „კუ-კლუკს კლან"-ის მიერ გავრცელებული ფურცელი, განსაკუთრებით ზანგებით დასახლებულ რაიონებში.

ფურცლის შინაარსი ასეთია:—„ზანგებო! გაფრთხილდით! არ იაროთ კომუნისტურ მიტინგებზე. მოსყიდული კომ. ორგანიზატორები ცდილობენ უსიამოვნებაში ჩაგითრიონ. ალაბამა კარგი ადგილია თვინიერ ადამიანებისათვის, მაგრამ ცუდია იმ ზანგებისათვის, რომლებსაც სწამთ სოციალური თანასწორობა. კუ-კლუკს-კლანი გითვალთვალებთ თქვენ! გაფრთხილდით!".

## გერმანიის კომპარტია განაგრძობს გმირულ ბრძოლას



Die Rote Fahne

... der revolutionären Arbeiter

გაზეთ „როტე ფანე"-ს გვერდი, რომელიც არალეგალურად გამოუშვეს ლორენცის ქარხნის (ბერლინში) მუშებმა.

ეს გაზეთი როტატორზე გამრავლების შემდეგ ვრცელდებოდა მუშათა ფართე ფენებში.

ასე გმირულად და თავგანწირვით იბრძვის გერმანიის რევოლუციური მუშათა კლასი მიუხედავად ფაშისტური ბანდების თარეშისა.

ფასი 40 კაპ.

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. შეკვ. № 1926. მთავლიტი № 951.